

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

მაკროეკონომიკის მიმართულება



გიორგი კლარჯეიშვილი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი ნაშრომი თემაზე:

„ ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები „

მეცნიერ ხელმძღვანელი:  
ეკონომიკის დოქტორი  
მამუკა ხუსკივაძე

თბილისი

2019

## ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში, ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ ასპექტებს. განვმარტავთ მისი არსს, განმსაზღვრელ ფაქტორებს, ტიპებს, გაზომვის და შეფასების მეთოდებს და ძირითად მაჩვენებლებს.

ნაშრომში ჩვენ ასევე გავეცნობით სხვადასხვა ეკონომისტების შეხედულებებს ეკონომიკურ ზრდაზე და მათ გამომწვევ ფაქტორებზე. ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკურ პილიტიკაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორზე და ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედების საზღვრები და ის არხები, რომლის მეშვეობითაც ისინი გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩვენ ასევე დავინახავთ, თუ რა მიმართულებით შეუძლიათ იმოქმედონ სხვადასხვა ინსტიტუტებმა და რა გავლენა ექნება მათ ქმედება ეკონომიკურ კონიქტურაზე. გარდა ამისა, ყურადღებას გავამახვილებთ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, აღნიშნული ნაშრომის პირველი და მეორე თავი ეკონომიკური ზრდის შესახებ თეორიების შეჯამებას და განხილვას დაეთმობა. აღნიშნულ ნაშრომში ასევე განვიხილავთ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური ზრდის მარეგულირებელს და მის ხელთ არსებულს ინსტრუმენტებს.

მესამე თავში, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც ასახავენ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე ტენდენციებს. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განხილვით შევძლებთ გავაანალიზოთ ეკონომიკური ზრდა და დავინახოთ მისი ტენდენციები.

გარდა სტანდარტული ანალიზისა, მესამე თავში განვიხილავთ და შევაფასებთ კიდევ ერთი მაჩვენებელი: ინკლუზიური ზრდის ინდექსს. აღნიშნული ინდექსის გამოთვლა, საშუალებას მოგვცემს განსხვავებული კუთხით შევხედოთ ეკონომიკურ ზრდას და შევაფასოთ, თუ რამდენად თანაბრად აისახება ეკონომიკური ზრდა მოსახლეობაზე.

მას შემდეგ, რაც განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ ასპექტებს, გავაკეთებთ დასკვნებს საქართველოს ეკონომიკური ზრდის შესახებ და განვიხილავთ შემდგომ რეკომენდაციებს.

## Annotation

In this work, we will discuss macroeconomic aspects of economic growth. We explain the essence, determining factors, types, measurement, assessment methods and key indicators.

In the paper, the views of various economists will be looked into about economic growth and its factors. We will focus on economic policy as one of the key factors of economic growth and economic policy tools, that enable to see the boundaries of different state institutions and the channels through which they influence the economic growth.

We will also be able to see how different institutions can operate, how they impact economic connotation. In addition, we will focus on the necessity of coordinating between fiscal and monetary policy. In short, the first and second chapters of this work summarize and discuss theories about economic growth. In this paper, State will also be considered as the economic growth's regulator, also its instruments.

In Chapter Three, we will focus on the main macroeconomic indicators of Georgia that reflect current trends of economic growth. By considering macroeconomic mentors, we will be able to analyze the economic growth and see its trends.

In addition to standard analysis, in the third chapter one more indicator will be closely discussed and evaluated: the Inclusive Growth Index. Calculation of this index will allow us to look at the economic growth in a different way and evaluate how well the economic growth is reflected on the population.

After reviewing macroeconomic aspects of economic growth, conclusions will be made about Georgia's economic growth and further recommendations will be considered.

## შინაარსი

|                                                               |   |
|---------------------------------------------------------------|---|
| შესავალი                                                      | 4 |
| თავი 1. ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები    | 8 |
| 1.1 ეკონომიკური ზრდის არსი, ტიპები და განმსაზღვრელი ფაქტორები | 8 |

|                                                                                          |           |
|------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| 1.2 ეკონომიკური ზრდა, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზანი და მისი ინდიკატორები  | 15        |
| 1.3 ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა                                 | 24        |
| <b>თავი 2. ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური თეორიები და სახელმწიფო პოლიტიკა</b>        | <b>30</b> |
| 2.1. მაკროეკონომიკური კონცეფციები და დოქტრინები ეკონომიკური ზრდის შესახებ                | 30        |
| 2.2. ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა              | 40        |
| <b>თავი 3. ეკონომიკური ზრდა საქართველოში: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები</b>     | <b>62</b> |
| 3.1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოკლე მიმოხილვა და ძირითადი ტენდენციები. | 62        |
| 3.2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მოდელი საქართველოსთვის                                 | 77        |
| <b>დასკვნა</b>                                                                           | <b>85</b> |
| <b>გამოყენებული ლიტერატურა</b>                                                           | <b>88</b> |
| <b>დანართი</b>                                                                           | <b>90</b> |

## შ ე ს ა ვ ა ლ

### პრობლემის აქტუალობა :

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია - ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს - ქვეყანაში უფრო ხარისხიანი და მეტი რაოდენობის პროდუქციის წარმოებას, შესაბამისად, ცხოვრების უფრო მაღალი დონის მიღწევას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა ხდებოდეს რესურსების, მაქსიმალურად, ეფექტიანად გამოყენებით.

ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე, ყველა სახელმწიფოს მიზანი იყო სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ამისათვის აუცილებელი გახდა ეკონომიკური ზრდის წყაროების შესახებ ინფორმაციის შესწავლა, გაზომვა და ანალიზი.

თანამედროვე ეპოქაში მჭიდროდ დამკვიდრდა ტერმინი: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რომელიც შემდეგ საფუძვლებს ეყრდნობა :

1. საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა ეკონომიკური ზრდის პროცესში
2. ზრდის შედეგების ფართოდ განაწილება, რაც გულისხმობს რესურსების მაქსიმალურად ათვისებაში, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ინკლუზიური ზრდის მოდელი განსხვავდება ღარიბებზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის მოდელისგან იმით, რომ პრიორიტეტი ენიჭება ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკური ზრდის კონცეფციები ბევრ ეკონომისტს იზიდავდა, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის შესახებ არსებობს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც აღნიშნულ ფენომენს სხვადასხვა კუთხით შეისწავლის. ასევე შეიძლება განვასხვავოთ ეს კონცეფციები მეთოდოლოგიური მიდგომებით. თუმცა თითოეული მათგანის მთავარი მიზანია განსაზღვროს ის, რამდენად გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე და რა არის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები.

თანამედროვე მსოფლიოში, ეკონომიკური ზრდა მეტ მნიშვნელობას იძენს, ამის მთავარი მიზეზი არის მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპის სათანადო დონეზე შენარჩუნება, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს მარტივად დაძლიოს რეცესია და თავიდან აიცილოს სერიოზული ეკონომიკური რყევები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს, როგორც ფინანსურ, ასევე რეალურ სექტორზე.

რათქმაუნდა, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე. თითოეული სახელმწიფო მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური მაჩვენებლის განსაზღვრას და მის მიღწევას. შესაბამისად, მაკროეკონომიკური პოლიტიკა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩამორჩება ეკონომიკური ზრდა - მის პოტენციურ დონეს. გარდა ამისა,

მნიშვნელოვანია დადგინდეს ის ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ ქვეყანაში შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და არსებული პრობლემების აღმოფხვრა.

ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის შესწავლა. გარდა მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც. შესაბამისად, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ასპექტების შესწავლა, რაც საშუალებას მისცემს მას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ცხოვრების დონის ამაღლებაში.

#### **კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები:**

სამაგისტრო ნაშრომში ასახული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ნაშრომში კვლევის ძირითადი მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკური ზრდის შეფასებისა და რეგულირების კონცეპტუალური საკითხების კლასიკური წანამდღვრების სისტემური ანალიზი და შედეგთა განზოგადება;
- საქართველოში ეკონომიკური ზრდის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და თავისებურებების დადგენა;
- საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება და მასზე ზემოქმედი ფაქტორების გამოვლენა.

#### **კვლევის ობიექტი და საგანი:**

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფორმირების, გაზომვის, შეფასების, ვარიაციისა და რეგულირების პროცესები, მათზე ზემოქმედი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ხოლო კვლევის საგანია ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები.

#### **კვლევის მეთოდები:**

კვლევის დროს გამოყენებულია ეკონომიკური და სისტემური ანალიზის, შედეგთა განზოგადების, ინდუქციის, დედუქციის, ეკონომეტრიკული მოდელირების, ლოგიკური დასაბუთების, ექსპერტული და სხვა მეთოდები.

#### **კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები:**

სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხების კვლევის დროს, ძირითად ამოსავალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებად, გამოყენებულია გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

#### **კვლევის მეცნიერული სიახლე:**

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის კლასიკური თეორიების გაერთიანებას და მათი ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების გზების დახასიათებას. ეკონომიკური ზრდის სტანდარტული მიმოხილვის პარალელურად, ნაშრომში შეფასებულია ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის ინდექსი, რაც ეკონომიკურ ზრდას განსხვავებული კუთხით წარმოგვიჩენს.

#### **საინფორმაციო ბაზა:**

ნაშრომში გამოყენებულია: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შესრულებულია როგორც პირველადი, ასევე მეორადი გაანგარიშებები და გამოკვლევები.

# თავი 1. ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

## 1.1 ეკონომიკური ზრდის არსი, ტიპები და განმსაზღვრელი ფაქტორები

ეკონომიკური ზრდა, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც, წინა პერიოდთან შედარებით გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ზრდა.

ჩვეულებრივ, ეკონომიკური ზრდა იზომება ისეთი მაჩვენებლით, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. მთლიანი შიდა პროდუქტი არის წლის განმავლობაში, მოცემულ ქვეყანაში წარმოებული, ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულების საზომი. უნდა ავლნიშნოთ ისიც, რომ ეკონომიკურ ზრდად შეიძლება ჩავთვალოთ, მხოლოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდა არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია გრძელვადიან პერიოდში.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი გაიანგარიშება, როგორც: მიმდინარე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდი შეფარდებული საბაზისო პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასთან და გამრავლებული 100-ზე.

$$\text{ზრდის ტემპი} = \frac{(GDP_1 - GDP_0)}{GDP_0} \times 100\% \quad (1)$$

სადაც,  $GDP_0$  - არის საბაზისო წლის მთლიანი შიდა პროდუქტი.

$GDP_1$  - არის მიმდინარე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი.

როდესაც, ქვეყნების ცხოვრების და განვითარების დონეებს ერთმანეთს ვადარებთ, ვიყენებთ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე და მისი ცვლილების ტემპები.

ეს მაჩვენებელი გვიხასიათებს - მოსახლეობის ცხოვრების და კეთილდღეობის დონეს. შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, უფრო მეტად - ვიდრე მოსახლეობის ზრდა.



ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, შეიძლება გაიზარდოს და ეს მოხდეს მოსახლეობის შემცირების ხარჯზე, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ ზრდად.

აღნიშნული მაჩვენებლის გარდა, ეკონომიკური ზრდის შეფასებისთვის, გამოიყენება სხვა ისეთი მაჩვენებლები როგორცაა: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, საგადასახდელი ბალანსის ცვლილება, სახელმწიფო ვალის ცვლილება, წარმოების მოცულობის საერთო და დარგების მიხედვით ზრდა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება.

ქვეყნებს შორის ზრდის ტემპებში მცირეოდენმა განსხვავებამაც კი, დროთა განმავლობაში, შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის დიდი სხვაობა. ეს, გამომდინარეობს იქედან, რომ დროთა განმავლობაში ზრდის დაგროვების გამო, ადგილი აქვს "კუმულაციურ" ეფექტს. კუმულაციური ეფექტი ეყრდნობა რთული პროცენტის ფორმულას, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი და იმავე ზრდის ტემპის შემთხვევაში, ყოველ მომდევნო წელს, სულ უფრო მეტად გაიზრდება გამოშვების მოცულობა.


ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, ასევე გხვდება კონვერგენციის ცნება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ქვეყნები, რომლებიც შორს არიან თავიანთი მდგრადი მდგომარეობიდან, შესაძლებლობა აქვთ უფრო მაღალ ზრდის ტემპებს მიაღწიონ. დროთა განმავლობაში, მათ შეუძლიათ დაეწიონ განვითარებულ ქვეყნებს. ეს ეფექტი აიხსნება იმით, რომ განვითარებადი ქვეყნები მაქსიმალურად არ იყენებენ თავიანთ რესურსებს, შესაბამისად, თავისუფალი რესურსების ეკონომიკაში ჩართვით და ეფექტიანობის ამაღლებით, ისინი ზრდის უფრო მაღალ ტემპებს აღწევენ. დღეს, ეკონომიკური ზრდის მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის ერთერთი მთავარი ამოცანაა. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ეკონომიკური ზრდა და მისი მნიშვნელობა კეთილდღეობისთვის, საჭიროა გავაანალიზოთ პოტენციური და ფაქტიური ეკონომიკური ზრდა. თუ ქვეყანა მაქსიმალურად და ეფექტიანად იყენებს თავის რესურსებს, მაშინ მისი გამოშვების დონე მდებარეობს საწარმოო შესაძლებლობის მრუდზე, შესაბამისად ეს არის წარმოების პოტენციური დონე. ხოლო, თუ რესურსების გამოყენება ხდება არაეფექტიანად, ან არასრულად მისი გამოშვების მოცულობა არის

პოტენციურ დონეზე ნაკლები. აქედან გამომდინარე, პოტენციური ეკონომიკური ზრდა - ეს არის სიჩქარე, რომლითაც შეიძლება გაიზარდოს ეკონომიკა, როდესაც იგი მთლიანად და ეფექტიანად იყენებს არსებულ რესურსებს. ხოლო ფაქტიური ეკონომიკური ზრდა - არის ეკონომიკური ზრდის ის მაჩვენებელი, რომელიც გვაქვს მოცემულ პერიოდში.

ეკონომიკური ზრდის არსი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაიჭრას შემდეგი, ურთიერთსაწინააღმდეგო, მოცემულობები: რესურსების შეზღუდულობა და ადამიანის განუსაზღვრელი მოთხოვნა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა, ჩვენს ხელთ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით, გამოშვების ზრდაა.


გრაფიკულად ეკონომიკური ზრდა შეგვიძლია გამოვსახოთ სამი ხერხით:

1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მრუდით



ნახაზი 1.1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა


2. საწარმოო შესაძლებლობების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებით.



ნახაზი 1.2. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი

საწარმოო შესაძლებლობების მრუდი ასახავს რესურსების შეზღუდულობას გარკვეული პერიოდისთვის. ხოლო ამ მრუდის გადაადგილება მარჯვნივ ასახავს ეკონომიკურ ზრდას.

### 3. AD-AS მოდელის მეშვეობით



ნახაზი 1.3. AD-AS მოდელი

რადგანაც, ეკონომიკური ზრდა ნიშნავს პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, გრაფიკულად შეგვიძლია გამოვსახოთ - როგორც გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილება. ეს გადაადგილება ასახავს გამოშვების მოცულობის ზრდით გამოწვეულ შედეგს.

### ეკონომიკური ზრდის ფაქტორები

ეკონომიკური ზრდის ფაქტორები, მათი ზემოქმედების მიხედვით, შეიძლება დავყოთ პირდაპირ და არაპირდაპირ ფაქტორებად.

პირდაპირი ფაქტორებია:

- მომუშავეთა რიცხოვნობის და მწარმოებლურობის ზრდა.
- ძირითადი კაპიტალის რაოდენობისა და ეფექტიანობის ზრდა.
- წარმოების მართვისა და საწარმოო უნარების გაუმჯობესება.
- ტექნოლოგიების ეფექტურობა.
- ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა.
- გეოგრაფიული მდებარეობა.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება ტექნოლოგიური ცოდნა.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგ შემთხვევაში, პირდაპირ ფაქტორებზე მეტად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ხასიათი.

რაც შეეხება, არაპირდაპირ ფაქტორებს, ისინი დაკავშირებულია წარმოების ორგანიზაციასთან და განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკით.

არაპირდაპირ ფაქტორებს მიეკუთვნება :

- ეკონომიკის მონოპოლიზაციის დონე.
- საწარმოო ნედლეულზე ფასები.
- დაზოგვის ნორმა.
- საგანმანათლებლო პოტენციალი.
- კრედიტებზე ხელმისაწვდომობა.
- ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა.
- ეკონომიკის გახსნილობა.

ე. დენისონმა<sup>1</sup> ამერიკულ ეკონომიკაში არსებული თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა გამოთვალა და მიიღო, რომ ყველაზე მეტად ეკონომიკურ ზრდას, განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის ზრდა - 68%, ასევე, მნიშვნელოვანია შრომითი დანახარჯების ზრდა, რომელიც მთლიანი ზრდის 32%-ს განაპირობებს.

---

<sup>1</sup> Denison E. F. Reviewed Work: The Sources of Economic Growth in the United States and the Alternatives Before Us. by E. F. Denison The Economic Journal Vol. 72, No. 288 (Dec., 1962), pp. 935-938

შემდეგ მოდის პროფესიული მომზადება - 14 %, საკანონმდებლო ნორმები - 9% წარმოების მასშტაბების ზრდა - 9% და რესურსების განაწილების ზრდა -8%.

მსოფლიოს ისტორია გვიჩვენებს ეკონომიკური ზრდის შემდეგ ფაქტორებს:

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა.
- ტექნოლოგიური დონის ცვლილება (ინდუსტრიული, ინფორმაციული რევოლუცია).
- სამუშაო ძალაში ჩართულობის სტრუქტურული ცვლილება (ქალების სამუშაო ძალაში ჩართვა, საპენსიო ასაკის ზრდა და ა.შ.).
- ტექნოლოგიური სიახლეები (ავტომობილები XX საუკუნე, საყოფაცხოვრებო ტექნიკა - 1960-იანი წლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები 1990-იანი წლები. ).

### ეკონომიკური ზრდის ტიპები

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ეკონომიკური ზრდის ორ ტიპს:

- ექსტენსიური ეკონომიკური ზრდა
- ინტენსიური ეკონომიკური ზრდა

ექსტენსიური ეკონომიკური ზრდა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც როდესაც ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას - კაპიტალის, შრომითი რესურსების, მიწის, ნედლეულის და სხვა რესურსების ზრდის ხარჯზე. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ ჩინეთი, რომლის ზრდა არის ექსტენსიური ხასიათის, რადგან ეკონომიკური ზრდა ხდება - შრომითი რესურსების, კაპიტალის, ნედლეულის და ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე.

ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდას, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ხდება, რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას. მაგალითად, იზრდება შრომის მწარმოებლურობა, გამოიყენება უფრო ეფექტიანი წარმოების საშუალებები, მაღლდება მუშა ხელის კვალიფიკაცია, იხვეწება ტექნოლოგიები და იზრდება პროდუქციის ხარისხი. სწორედ ამიტომ, ინტენსიური ტიპის ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება: რადგანაც, ეკონომიკა შეზღუდული რესურსებით ხასიათდება და საჭიროა მათი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე წარმოება შეითავსებს, როგორც ექსტენსიურ, ასევე - ინტენსიური ზრდის ფაქტორებს. ზრდის რომელი ფაქტორი უფრო მეტად გამოიყენება ეკონომიკაში გვიჩვენებს იმას, უპირატესად ექსტენსიური ეკონომიკური ზრდა გვაქვს, თუ ინტენსიური. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის პროდუქციას და მომსახურებას აწარმოებს ეკონომიკა.<sup>1</sup>

ინტენსიურ ზრდაზე გადასვლისას ზრდის ტემპები შეიძლება შემცირდეს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკა უფრო ნაკლებად ვითარდება. ზრდის შენელების პროცესი დაკავშირებულია სტრუქტურულ ცვლილებებთან. ინტენსიურ ეკონომიკური ზრდას ძირითადად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ხდება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა წარმოებაში. რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ზრდის ტემპებზე და ეკონომიკაზე.

ისტორიულად გამოყოფენ: ინდუსტრიამდელ, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ ეკონომიკურ ზრდას. ისინი განსხვავდებიან წარმოების ფაქტორებით.

ინდუსტრიამდელი ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი იყო სამუშაო ძალა. წარმოება დაუძნებელი იყო ხელით მუშაობაზე, რაც განაპირობებდა დაბალ ეკონომიკურ ზრდას და დაბალ მწარმოებლურობას.

ინდუსტრიული ეკონომიკური ზრდის დროს, ზრდის მთავარ ფაქტორად გვევლინება კაპიტალი. ინდუსტრიულმა ეპოქამ განაპირობა მეცნიერების სწრაფი განვითარება და ცხოვრების დონის საგრძნობლად ამაღლება, თუმცა უნდუსტრიული ეკონომიკური ზრდის დროს ადგილი ქონდა გარკვეულ წინააღმდეგობებს: მაშინ, როდესაც ვითარდებოდა წარმოების საშუალებები, სულ უფრო ჩამორჩებოდა ადამიანების შესაძლებლობები ტექნიკას; წარმოებასა და გარემოს დაბინძურებას შორის დადგა არჩევანი. თუმცა, ამის მიუხედავად, სამომხმარებლო საქონელი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა.

დღესდღეობით, ქვეყნების უმრავლესობა გადადის პოსტინდუსტრიულ ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთი ზრდისთვის მთავარ ფაქტორებად გვევლინება: ცოდნა, ინფორმაცია და ადამიანური კაპიტალი. მისთვის, დამახასიათებელია ისეთი განმასხვავებელი

---

<sup>1</sup> ჩიქობავა მ. - ეკონომიკური ზრდა

შტრიხები, როგორცაა: წარმოების და ცხოვრების განვითარებაში ინფორმაციის როლის ზრდა; მთავრობის და კერძო სექტორის დანახარჯების ზრდა განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სამეცნიერო კვლევებზე; ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება; მომსახურების სფეროს წილის ზრდას მთლიან შიდა პროდუქტში და მცირე ბიზნესის მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკაში.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად საჭიროა: დანაზოგებისა და ინვესტიციების მაღალი ნორმა; სახელმწიფოს მცირე როლი ეკონომიკაში; განვითარებული ქვეყნის შიდა ბაზარი; მოთხოვნა ადგილობრივ საქონელზე და განვითარებული მცირე ბიზნესი.

## 1.2 ეკონომიკური ზრდა, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზანი და მისი ინდიკატორები

**ეკონომიკური ზრდა** — მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელსაც იყენებენ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილებების გამოსახატავად. ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, ქვეყნის დოვლათის (რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის) მოცულობისა და საწარმოო პოტენციალის გადიდება. ეკონომიკური ზრდა ნებისმიერი სახელმწიფოს ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, რადგან იგი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. გარდა დადებითი მხარეებისა, ეკონომიკური ზრდა შეიძლება მიმდინარეობდეს რესურსების გადაჭრებით და არაეფექტიანად გამოყენებით.<sup>1</sup>

თანამედროვე მსოფლიოში, სახელმწიფო მრავალი გამოწვევის და პრობლემის წინაშე დგას, რაც მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და სხვადასხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების შესწავლას. ეს საშუალებას აძლევს ქვეყნის სათავეში მდგომ ორგანოებს თავიდან აიცილოს და დაძლიოს ეკონომიკური რყევები და რეცესიები.

ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მიღწეულია რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით, მივყავართ ეკონომიკურ განვითარებამდე და კეთილდღეობის

<sup>1</sup> Шараев Ю.В. - ТЕОРИЯ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА // Издательский дом ГУ ВШЭ Москва 2006.

ამაღლებამდე. ხოლო ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ხორციელდება რესურსის არაეფექტიანად ხარჯვით - მივყავართ რეცესიამდე. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელია ეკონომიკური ზრდის შესწავლა და რეგულირება.

ეკონომიკური ზრდის დინამიკის შესაფასებლად, სხვადასხვა ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა მაჩვენებლებს, რომელიც გამოხატავს წარმოებისა და საერთო პროდუქტის მოხმარებას (შემოსავალს), რომელიც შექმნილია იმ საოჯახო მეურნეობების მიერ, რომელთაც აქვთ კავშირი ამ ქვეყანასთან. განასხვავებენ შინამეურნეობების შემდეგ სუბიექტებს: რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს.

ეკონომიკურ რეზიდენტად ითვლება ეკონომიკური ერთეული (საწარმო ან შინამეურნეობა, ეროვნული კუთვნილებისა და მოქალაქეობის განურჩევლად), რომელიც თავისი ეკონომიკური ინტერესით დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკასთან და მდებარეობს აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე, არანაკლებ 1 წელი. არარეზიდენტად ითვლება ყოველი ეკონომიკური ერთეული, რომელიც მუდმივად მდებარეობს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე(საზღვარგარეთ), იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ტერიტორია ითვლება აღნიშნული ქვეყნის ინსტიტუციონალური ერთეულის ფილიალად. იქედან გამომდინარე, თუ როგორ ჩაითვლება რეზიდენტისა და არარეზიდენტისა წარმოებული პროდუქცია, გაინგარიშება განზოგადოებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ამ მიზნებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი.

მთლიანი შიდა პროდუქტი - ეს არის საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების საერთო ღირებულება წარმოებული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი - პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულებაა, წარმოებული ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების მიერ, განურჩევლად ტერიტორიისა და ადგილმდებარეობისა. როგორც ვხედავთ, მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლების ზუსტად გასაანგარიშებლად, ერთის მხრივ, ითვალისწინებენ სამეურნეო ერთეულების ქვეყნის



მოქალაქეობრივ კუთვნილებას (ეროვნებას), მეორეს მხრივ გამოყოფენ ეკონომიკურ ტერიტორიას, რომელზეც ის მდებარეობს.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, გაიანგარიშება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიების საშუალებით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებსა და კლასიფიკაციებს, რომლებიც, მაკროეკონომიკურ დონეზე, გამოიყენება საერთო შედეგებისა და ასპექტების აღწერის და ანალიზისთვის. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის (დამუშავების) ძირითად საერთაშორისო საშუალებას. მისი პოსტულატების გამოყენება სავალდებულოა ყოველი სახელმწიფოსთვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია.

დროთა განმავლობაში ეს სტანდარტები გაუმჯობესდა.

1993 წელს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა რეკომენდირებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და ტემპების შესაფასებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, ქვეყნებისათვის, რომლებიც იყენებენ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებს.

მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება გამოვითვალოთ წარმოების მეთოდით, როგორც დამატებითი ღირებულების წარმოებულს ქვეყანაში (დანახარჯები) და განაწილების მეთოდით (შემოსავლები), როგორც საზოგადოების პირველადი შემოსავლების ჯამი.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას, ჯამდება - რეზიდენტი ერთეულების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების დამატებითი ღირებულება, რომლებიც დაჯგუფებულია ინდუსტრიებისა და რეგიონების მიხედვით. დამატებითი ღირებულების გამოანგარიშებისას, მთლიანად გამოირიცხება პროდუქციისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც გამოყენებულ იქნა საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების საწარმოებლად (შუალედური მოხმარება). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას, მასში უნდა შედიოდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქცია და მომსახურებაც. ჩრდილოვანი ეკონომიკა ითვალისწინებს პროდუქციასა და მომსახურებას, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია, ასევე

არარეგისტრირებულ ფარულ წარმოებას, რომლიდანაც ვერ ხერხდება გადასახადების ამოღება და სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური შენატანების განხორციელებაც.

მშპ-ის საბოლოო მოხმარების მეთოდით გაანგარიშებისას, ჯამდება ყოველი ეკონომიკური აგენტის დანახარჯები, რომელიც იყენებენ მთლიან შიდა პროდუქტს. იგულისხმება შინამეურნეობები, სახელმწიფო, ეკონომიკური რეზიდენტები, რომლებიც ახორციელებენ კერძო ინვესტიციას, ასევე დანახარჯები წმიდა ექსპორტში. საბოლოოდ, ჩვენ ვიღებთ პროდუქციისა და მომსახურების წარმოების საერთო ღირებულებას, რომელიც წარმოებულია ეკონომიკური რეზიდენტების მიერ და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს მიღმა.

მისი ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$GDP = C + G + I + NX \quad (2)$$

GDP - მთლიანი შიდა პროდუქტი, სადაც C არის პირადი დანახარჯები, რომელიც ითვალისწინებს შინამეურნეობების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს; G - სახელმწიფო დანახარჯებს გაწეულს თავდაცვის შენარჩუნებაზე, მმართველობითი აპარატის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფო სექტორის მუშაკთა ხელფასების გაცემაზე, საზოგადოებრივი პროექტების დაფინსებაზე, საზოგადოებრივი კომუნიკაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე და სხვა ხარჯები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივი (სოციალური) მოხმარებისათვის. I - ინვესტიციები ითვალისწინებს დანახარჯებს შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე, დანადგარების შეძენაზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგების შექმნაზე, დაზიანებული ხელსაწყო-დანადგარების განახლებაზე (გამოცვლაზე) და შინამეურნეობების დანახარჯებს საცხოვრებლის შეძენაზე; NX - საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი, რომელიც გაინაგარიშება ყველა საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ჯამებს შორის სხვაობით.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას შემოსავლების მეთოდით, ჯამდება ქვეყანაში არსებული ყველა შემოსავლების სახეობები, ასევე ამორტიზაციის ღირებულება და არაპირდაპირი გადასახადები ბიზნესზე. ამ მეთოდით მთლიან შიდა

პროდუქტში ითვალისწინებენ დაქირავებულ მუშაკთა ხელფასებს, საწარმოების წმინდა შემოსავალს, რომელიც რჩებათ გადასახადების გადახდის შემდეგ, კრედიტორების გადასახადებს, საწარმოს შემოსავლებს, რომელიც ინდივიდუალურ ან საოჯახო მფლობელობაშია და ასევე ინდივიდუალურ მუშაკთა შემოსავლებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დაქირავებულთა რიცხვს, შემოსავალს რენტიდან, პროცენტს კაპიტალის ფლობაზე, ამორტიზაციის დანახარჯებს, ბიზნესზე ისეთ გადასახადებს, როგორცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მონოპოლიურ და საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობაზე.

ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, მშპ-ის გაანგარიშებასთან ერთად, გამოყოფენ მთლიან ეროვნულ პროდუქტსაც. მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაანგარიშებისას მშპ-ის მაჩვენებელს უნდა დავუმატოთ („+“ ან „-“, ნიშნით) სხვაობა ანუ სალდო ერთის მხრივ შემოსავლებს მიღებულს საწარმოებისა და ფიზიკური პირების მიერ უცხოეთში, და მეორეს მხრივ შემოსავლებს უცხოური საწარმოებისა და უცხოელი ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც დროებით მუშაობენ აღნიშნულ ქვეყანაში.

მშპ-სა და მეპ-ის მაჩვენებლები გამოითვლება ძირითადი კაპიტალის გამოყენების დანახარჯების გარეშე. ამორტიზაცია - გამოყენებული კაპიტალის მოცულობა, რომელიც წარმოადგენს თანხას, რომლის ოდენობითაც შემცირდება ძირითადი კაპიტალის ღირებულება გარკვეული დროის განმავლობაში მისი გამოყენების ან ცვეთის შედეგად ან თუნდაც მათი დაზიანების შემთხვევაშიც.

ეკონომიკური განვითარების დონის შესაფასებლად ასევე გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორც არის ეროვნული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ყველა რეზიდენტის შემოსავლების ჯამს. გაანგარიშების მეორე მეთოდს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტიდან ამორტიზაციისა და ბიზნესზე არაპირდაპირი გადასახადების გამოკლება. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მთლიანი ეროვნული შემოსავალი, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის დანახარჯებს.

მნიშვნელოვანია, ავლნიშნოთ მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მახასიათებლები და დერატივების გამოყენების მეთოდები. მთლიანი შიდა პროდუქტის კალენდარული წლისადთვის გაანგარიშებისას მოიხსენიება, როგორც ნომინალური

მთლიანი შიდა პროდუქტი; იგი გაიანგარიშება ფასების დინამიკის გათვალისწინების გარეშე, ასე რომ მისი გამოყენება, როგორც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებისთვის საკმაოდ შეზღუდულია.

იმისათვის, რომ მივიღოთ ღირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გარკვეული პერიოდისათვის, უნდა გავიანგარიშოთ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ანუ გავითვალისწინოთ ინფლაციური პროცესების გავლენა პროდუქციის ღირებულებაზე. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი არის ის მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს ფასების ცვლილებას, ანუ იგი გამოისახება საბაზისო ფასებში. ჩვეულებისამებრ, საბაზისო ფასებად იგულისხმება წინა პერიოდის ფასები, რომელთა მიმართებაშიც ხდება შედარება. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის კორექტირებით გზით აგრეგირებული ფასების ინდექსის, ანუ იგივე მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის გამოყენებით.

იგი გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რეალური მშპ} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{სამომხმარებლო ფასების ინდექსი}} \quad (3)$$

ან

$$\text{რეალური მშპ} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{მშპ დეფლატორი}} \quad (4)$$

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (აგრეგირებული ფასების ინდექსი) აღნიშნავს ფასის ცვლილებებს პროდუქტზე, შექმნილს შინამეურნეობების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურის შენარჩუნების შემთხვევაში. ამომავალ წერტილს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაზისო პერიოდის წარმოების მაჩვენებელი. მწარმოებულობისა და მოხმარების ძვრები, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესთან, არ გაითვალისწინება.

ამიტომაც, ინდექსი, მცირედით, აღიდეგს ზრდის ტემპის მაჩვენებელს, რადგან ადგილი აქვს სამომხმარებლო საქონელში სუბსტიტუციას (ჩანაცვლებას), (მომხმარებელი ყოველთვის ამჯობინებს ძვირადღირებულ საქონელს იაფიანს, იმ

შემთხვევაში, თუ იაფიან საქონელს ძალუმს იმავე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება). ეს გარემოება არ გითვალისწინება გამოთვლისას.<sup>1</sup>

მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი - ფასების ინდექსია, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი. ის თავიდან გვაცილებს სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ამ ინდექსის გაანგარიშებისას, გამოითვლება ფასები პროდუქტზე, რომელიც შეიძინეს არა მხოლოდ შინამეურნეობებმა, არამედ საწარმოებისა და სახელმწიფოს მიერ შეძენილი პროდუქციის ფასიც. გაანგარიშების ბაზისად აიღება მიმდინარე წლის წარმოებული საქონლის სტრუქტურა.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაანგარიშებისას, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დინამიკის გამოსახატავად, გამოიყენება - ეკონომიკური მატების ტემპის მაჩვენებელი. მასში იგულისხმება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპი და ასევე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი ზრდის ტემპი, რომელთა ურთიერთკავშირი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რეალური მშპ - ის ზრდის ტემპი} = \frac{\text{რეალური მშპ}_2 - \text{რეალური მშპ}_1}{\text{რეალური მშპ}_1} * 100\% \quad (5)$$

$$\text{რეალური მშპ - ის მატების ზრდის ტემპი} = \frac{\text{რეალური მშპ}_2}{\text{რეალური მშპ}_1} * 100\% \quad (6)$$

სადაც რეალური მშპ<sub>1</sub> არის საბაზისო (წინა) წლის მაჩვენებელი, ხოლო რეალური მშპ<sub>2</sub> კი არის მიმდინარე წლის მაჩვენებელი.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, იმ შემთხვევაში ითვლება დადებითად, თუ მისთვის დამახასიათებელია მაჩვენებლების დადებითი, მზარდი მნიშვნელობა. მსოფლიო პრაქტიკაში ამ ბოლო დროს სასურველ ტენდენციათ მიიჩნევენ ეკონომიკური ზრდის 4%-იან მაჩვენებელს, ზოგ ქვეყანაში შეიმჩნევა ფორსირებული ეკონომიკური

<sup>1</sup>ფრანსუა ლაკიე, დერეკ ბლიდის ეროვნულანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ / ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 2015

ზრდის ტემპები (4%-ზე მეტიც), რაც ძირითადად დაკავშირებული იმ ზომებთან, რომელიც მიიღება ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანად, ან ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი უეცარ ზრდასთან.

ეკონომიკური ზრდის შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ, არა მხოლოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის რიცხოვრივი მაჩვენებლები, ასევე მისი „ზრდის ხარისხიც“, რომელიც ითვალისწინებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მწარმოებლურობის სტრუქტურული გაუმჯობესება (განვითარება), მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესება, რომელიც ასახავს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. ეს რა თქმა უნდა გასაგებია. საზოგადოებას სჭირდება, არა უბრალო, არამედ მაღალხარისხიანი და ეფექტური ეკონომიკური ზრდა.

ეკონომიკური ზრდის შეფასებისას ისეთ მაჩვენებლებთან ერთად, რომლებიც ახასიათებენ ეროვნული შემოსავლის, მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიან ეროვნული პროდუქტის მოცულობისა და ზრდის ტემპებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამ მაჩვენებლების სიდიდე გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიან ეროვნული პროდუქტის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან, შეიძლება დავუკავშიროთ მწარმოებლურობის დონეს აღნიშნულ ქვეყანაში. ამავდროულად, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე - ახასიათებს ქვეყნის კეთილდღეობის დონეს და მისი ცვალებადობის დინამიკას.

რათქმაუნდა, მხოლოდ ამ მაჩვენებლების გამოყენება, არ იძლევა საშუალებას სრულფასოვნად შევაფასოდ ეკონომიკური ზრდის ეფექტურობა და ხარისხი, ეს საკითხი ასევე ეხება შინამეურნეობებსაც. აღნიშნული მაჩვენებლები სრულფასოვნად არ ასახავენ, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ფაქტორები და რესურსები, აგრეთვე, რა მიზნებისთვისა დაიხარჯა ისინი. საზოგადოებისათვისა და მეწარმეებისათვის კი, საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ როგორ შედეგებს მიიღებენ და რის მიღწევას შეძლებენ.

ხარისხი და ეფექტიანობა (შედეგისა და დანახარჯების თანაფარდობა) ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, თუ სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიების, ისევე როგორც

შინამეურნეობების შედეგები, დაკავშირებულია მწარმოებლურობის განვითარებასთან და ზრდასთან. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა, რაციონალურს ხდის შრომით და მატერიალური რესურსების გამოყენებას და დაკავშირებულია პირდაპირ და დამხმარე ფონდებთან, შესაბამისად, ხარისხსა და ეფექტიანობას, მხოლოდ ერთი რაიმე კონკრეტული მაჩვენებლით ვერ გამოვსახავთ. ამიტომაც, რათა ხარისხიანად და კომპლექსურად შევაფასოთ ეკონომიკის მდგომარეობა, მისი მაშტაბები და სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტემპები - აუცილებელია გამოვიყენოთ მაჩვენებელთა საკმაოდ ფართო სისტემა.

ფართოდ გამოიყენება, აბსოლუტური ღირებულებითი, ნატურალური ან შრომითი ეფექტიანობის ამსახველი მაჩვენებლები (კოეფიციენტები), რომლებიც დიფერენცირებულია მწარმოებლურობის დონეების მიხედვით (მაკრო, მეზო და მიკროდონეები). გამოშვებული პროდუქციის შეფასებისას ნატურალური მაჩვენებლებით გამოიყენება შესაბამისი შეფასების ფიზიკური ერთეულები: კილოგრამები, კვადრატული, ან კუბური მეტრები, ლიტრები და სხვა.

პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს, გაანგარიშებისას კონკრეტული ინდექსების გამოყენება. მაგალითად, დანახარჯები ერთ ერთეულზე, ისეთი მნიშვნელოვანი რესურსების, როგორცაა შრომა (სამუშაო დრო, შრომატევბადობა), მასალების საშუალო დანახარჯები, ენერჯის, მატერიალების, საწვავის, ინსტრუმენტების, სათადარიგო ნაწილებისა, თუ სხვა ნატურალურ მაჩვენებლებში გაიანგარიშება.

ეკონომიკის ყველა დონეზე, გამოყენების ფართო არეალი აქვს დეტალიზირებულ და კერძო მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ ანალიზის ობიექტის ხარისხს, ეკონომიურობას, ტექნიკურ და საორგანიზაციო სრულყოფილებას, კონკურენტუნარიანობასა და წარმოებაში გამოყენებული რესურსების მოხმარების დონეს. ამისათვის, გამოიყენება მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები: პროდუქციის თვითღირებულება, (წარმოების ღირებულება, საექსპლუატაციო ხარჯები), პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების, მმართველობისა და სხვათა ხარისხი, პერსონალის კვალიფიკაცია, სამუშაო ბაზრის განვითარების დონე, სამუშაო ძალის გამოყენების დონე, გამოყენებული მასალების, საწვავის, ენერჯო და ბუნებრივი რესურსების ხარისხი, ძირითადი და საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეფექტურობა;

საკუთრების უფლებების, კაპიტალდაბანდებებისა და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; სამეწარმეო საქმიანობის სოციალური ეფექტიანობა; ეკონომიკური, ეროვნული, სამეცნიერო-ტექნიკური, ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ და სხვა სახის ინფორმაციით უზრუნველყოფა; ბაზრების განვითარების თავისებურებები (სეგმენტური, კონიუქტურული, ინფრასტრუქტურული); ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიურ საკითხებთან შეთანხმება და მოწესრიგებული ეკოლოგიური გარემოს არსებობა/შენარჩუნება.

სხვადასხვა ჯგუფებში ნახსენები მაჩვენებლების უმეტესობა, თავინათი როლისა და მნიშვნელობის მიხედვით ითვლებიან პირველად, ამომავალ მაჩვენებლებად და გამოიყენებიან ანალიზისა და ექსპერტული შეფასებისათვის (ბუღალტრული და სტატისტიკური გაანგარიშებისათვის, ნომატიული და ტექნიკური დოკუმენტაციისათვის, მარკეტინგული გამოყენებისა და სხვა დანიშნულებით). ისინი საშუალებას გვაძლევენ გავიანგარიშოთ, საერთო და განზოგადოებული, საბოლოო შედეგიანობის გამოსათვლელად, რომლებიც ასახავენ შინამეურნეობების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ეფექტიანობის ხარისხსა და განვითარების დონეს, ასევე, მიზანმიმართულად გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ ღონისძიებებში.

### 1.3 ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა

საკითხი, რომელიც ეხება ეკონომიკური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, დღესაც მნიშვნელოვანია ენდოგენური ზრდის კვლევებში. ეკონომიკური მოდელის "ენდოგენურობაზე", მოქმედებენ ის ფაქტორები, რომლებიც სუბიექტურ გავლენას ახდენენ ეკონომიკური ზრდის ტემპზე და პირითადად განისაზღვრებიან მოდელის ინსტიტუციონალური და ურთიერთქმედების პარამეტრებით, მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ეკონომიკურ ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ტრადიციული ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ მოდელებში (სოლოუ-სვანის მოდელი - მოხმარების ოპტიმიზაციის მოდელი; რამსეი-კასს-კუპმანსის მოდელი), სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა შეზღუდულია მხოლოდ გარდამავალი



ტრაექტორიით, ხოლო ზრდა წონასწორულ მდგომარეობაში განსაზღვრულია გარე ფაქტორებით, ანუ ეგზოგენური ზრდის ტემპით - სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით.

გარდამავალ ტრაექტორიაზე, როდესაც ადგილი აქვს ფინანსურ ბაზრებზე წონასწორობას, სახელმწიფოს პოლიტიკა განისაზღვრება იმ ინსტრუმენტებით რომლებიც, ზემოქმედებს დაზოგვის ნორმაზე (შესაბამისად ინვესტიციებზე) და საპროცენტო განაკვეთზე.

რადგანაც, სტაბილური ზრდა, ნეოკლასიკურ მოდელებში, არ არის დამოკიდებული დაზოგვის ნორმაზე, შესაბამისად ამ ინსტრუმენტის გამოყენებით სახელმწიფო პოლიტიკა გავლენას ვერ ახდენს. სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის საკითხში შუამავლის, როლი უჭირავს დამოკიდებულებას ეკონომიკურ ზრდასა და დაზოგვის ნორმას შორის: თუ მათ შორის არსებობს კავშირი, მაშინ ის ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომლებიც ცვლიან დაზოგვის და ინვესტიციების ნორმას (სახელმწიფოს საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკა), გავლენას მოახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის პრობლემა, რომლის წინაშეც ვდგებით არის: ერთ სულ მოსახლეზე ოპტიმალური, სტაბილური, მოხმარების ზრდის ტემპის (შესაბამისად ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლების სტაბილური ზრდის ტემპების) განსაზღვრა, რომელიც განსხვავდება ნულისგან. თუ სტაბილური ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე არ უდრის ნულს და მოხმარების ოპტიმიზაცია შეესაბამება რამსეის პირობას, მოდელებში შეგვიძლია შევიტანოთ საგადასახადო განაკვეთი, რომელიც იმოქმედებს საპროცენტო განაკვეთზე, შესაბამისად, სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე. სხვადასხვა ვარიანტებისთვის, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის სხვადასხვა ვერსიები არსებობს. საერთო ტოლობა რამსეი-კასსი-კუპმანსის მოდელისთვის არის შემდეგი:

$$g^* = \sigma(r - \tau - \rho) \neq 0 \quad (9)$$

როგორც, ნებისმიერი მოხმარების დინამიკური ოპტიმიზაციის მოდელებითვის, სახელმწიფოს პოლიტიკაზე ინსტრუმენტების დამოკიდებულება აქაც სტანდარტულია.

გარდა ამისა, ეკონომიკაში ხშირად გხვდება კავშირი სიმდიდრის, ფიზიკური კაპიტალის და ადამიანური კაპიტალის არათანაბარ განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევა, თუ სახელმწიფოს პოლიტიკა არათანაბარ განაწილებას შეამცირებს.

ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და სახელმწიფოს პოლიტიკის კავშირის შესწავლამ, აჩვენა, რომ ეკონომიკის მრავალ პარამეტრზე ირიბად მოქმედებს, როგორც დანაზოგები და ინვესტიციები - ასევე სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება. მაგალითად, ინფლაციის ნეგატიური გავლენა ეკონომიკაზე შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევით. ამის ახსნა შესაძლებელია სტანდარტული მაკროეკონომიკური მოდელებით, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს ინფლაცია უარყოფით გავლენას ინვესტიციებზე და სიმდიდრის თანაბარ განაწილებაზე. ენდოგენურ მოდელებში ზრდის პრობლემა ნაწილობრივ შეიძლება გადაიჭრას ქცევითი და ინსტიტუციონალური პარამეტრებს შორის კავშირით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ის სტანდარტული მიდგომა რომელიც გამოიყენება საბაზისო დინამიკური მოდელებში.


სახელმწიფოს პოლიტიკაში სპეციფიკური მიდგომის გამოყენება გვჭირდება მაშინ, როდესაც ჩნდება განსხვავება სოციალურ და კერძო უკუგებას შორის. მაშინ როდესაც სოციალური უკუგება აჭარბებს კერძოს. კერძო სექტორის წარმოების ან ინვესტიციების სუბსიდირებამ შეიძლება მოგვცეს ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის საკითხი, განსაკუთრებით, იმ მოდელებში დგება, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას და სახელმწიფო პოლიტიკას ერთმანეთთან რომელიღაც სპეციფიკური ფაქტორით აკავშირებენ<sup>1</sup>. ასეთ მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ მოდელი, რომელშიც სახელმწიფო გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი საქონლის მწარმოებელი. ამ შემთხვევაში იგი არამარტო არის სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიზეზი, არამედ მისი მუდმივად შენარჩუნების წყაროა. აღნიშნული ეკონომიკური ზრდა, განპირობებულია დადებითი გარეგანი საზოგადოებრივი ეფექტით, რომელიც საშუალებას იძლევა დავძლიოთ კლებადი

---

<sup>1</sup> Barro R. J. Sala i Martin. X. - Public Finance In models of Economic Growth NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH 1050 WorkingPaperNo.362 MasachusettsAvenue Cambridge, MA 02138. 1990

ზღვრული მწარმოებლურობა და შევინარჩუნოთ მუდმივი, სტაბილური ზრდა. თუმცა, სახელმწიფოს ჩარევა ორი მიმართულებით მოქმედებს, ერთი მხრივ ადგილი აქვს უარყოფით ეფექტს, რომელიც დაკავშირებულია გადასახადებთან, რადგან გადასახადები ამცირებენ კაპიტალის ზღვრულ უკუგებას, მეორე მხრივ, ადგილი აქვს დადებით ეფექტს, რომელსაც საზოგადოებრივი საქონელი გვაძლევს. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადები მაღალია უარყოფითი ეფექტი გადააჭრბებს დადებითს, ხოლო, თუ დაბალია პირიქით. ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ისიც რომ, გამოშვების ოპტიმალური რაოდენობის გამოთვლისას, კერძო სუბიექტები არ ითვალისწინებენ უარყოფით გარეგან ეფექტებს. შესაბამისად, სახელმწიფო გვევლინება, როგორც უარყოფითი გარეგანი ეფექტების მარეგულირებლად, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო დადებით ეფექტს ახდენს ეკონომიკაზე, რაც ეკონომიკურ ზრდაზეც მოქმედებს.




გრაფიკი 1.1. ზრდის ტემპისა და სახელმწიფოს ხარჯების კავშირი

ეკონომიკურ ლიტერატურაში, გვხვდება გამოკვლევები, რომლებიც შეისწავლიან ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის კავშირს. როგორც სხვადასხვა მეცნიერების გამოკვლევებმა აჩვენა სახელმწიფოს დანახარჯების ზრდა, რომლებიც არ გამოიყენება წარმოებისთვის, ამცირებს ეკონომიკურ ზრდის ტემპს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს რობერტ ბარროს გამოკვლევებიდან<sup>1</sup>, რომელიც შეისწავლიდა

<sup>1</sup> Barro R. Sala-i-Martin X - Economic Growth. // N.Y.: McGraw-Hill, 1995. Ch. 4. R 140—170.

98 ქვეყნის მონაცემებს სხვადასხვა პერიოდში. თუმცა, სახელმწიფოს დანახარჯები, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში გარკვეულწილად ზრდის მას.ეს მოსაზრება ეუძნება ისეთი მეცნიერების გამოკვლევებს, როგორცაა ბარტი , ბრედლი<sup>1</sup>, ბარრო, ფიშერი<sup>2</sup> და ა.შ.<sup>3</sup>

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას, თუ დავეყრდნობით მაკკანდელსის და ვებერის<sup>4</sup> გამოკვლევებს, რომლებიც ეუძნება 110 ქვეყნის მონაცემების კვლევას, 30 წლიანი პერიოდის განმავლობაში (1960-1990) , დავინახავთ, რომ ფულის მასის ზრდასა და ინფლაციას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კლასიკურ დიქტომიის არსებობას ფულის ნეიტრალურობის შესახებ.



გრაფიკი 1..2 . გამოშვების მოცულობის და ფულის მასის კავშირი


ფულის ნეიტრალურობას, ასევე ადასტურებს სამომხმარებლო ფასების ზრდისა და გამოშვების დონეს შორის კავშირის არარსებობა.

<sup>1</sup> Barth J. R. Bradley D.M. Panayotacos P. C. - Understanding International Debt Crisis, 19 Case W. Res. J. Int'l L. 31. 1987

<sup>2</sup> Fischer S. - The Role of Macroeconomic Factors in Growth // Journal of Monetary Economics.. Vol.32., 1993


<sup>3</sup> Barro - R. Determinants of Economic Growth: NBER Working Paper. 1996.N 5698. Barro R. Government Spending in Simple Model of Endogenous Growth // Journal of Political Economy. 1990. Vol. 98.

<sup>4</sup> McCandless Jr. - Some Monetary Facts p. 2 //Federal Reserve Bank of Minneapolis 1995



გრაფიკი 1.3. ინფლაციასა და რეალურ გამოშვებას შორის კავშირი

თუმცა, ამავედროულად ბრუნოსა და ისტერლის<sup>1</sup> გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ 40%-ზე მაღალი ინფლაციის დროს, ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება. იგივე შედეგი მიიღო რობერტ ბარომ 20%-ზე უფრო მაღალი ინფლაციის შემთხვევაში.



გრაფიკი 1.4. 20% ზე მაღალი ინფლაციისა და და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის კავშირი საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახლემწიფოს მნიშვნელოვანი, როლი უჭირავს ეკონომიკური ზრდის და განვითარების რეგულირებაში. შესაბამისად ამის გაკეთება მას სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით შეუძლია.

<sup>1</sup> Bruno M. Easterly W.- Inflation Crises and Long-Run Growth NBER Working Paper No. 5209

## თავი 2. ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური თეორიები და სახელმწიფო პოლიტიკა

### 2.1. მაკროეკონომიკური კონცეფციები და დოქტრინები ეკონომიკური ზრდის შესახებ

მაკროეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების განშტოება, რომელიც შეისწავლის ეკონომიკას მთლიანობაში. იგი პასუხს სცემს ისეთ შეკითხვებს, თუ, რა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რატომ არის ინფლაცია, უმუშევრობა და როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკის რეგულირება. მოკლედ რომ ვთქვათ, როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა.

ერთერთი მთავარი შეკითხვა, რაზეც მაკროეკონომიკამ პასუხი უნდა გასცეს, არის ის, თუ რატომ არის ქვეყნების ეკონომიკებს შორის განსხვავება და რომელი ფაქტორები განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. რათქმაუნდა, კონსესუსი იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტორია მნიშვნელოვანი არ არსებობს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის თეორიაში, არსებობს რამოდენიმე, ძირითადი, მიმართულება რომლებიც განსხვავებულად ხსნიან ეკონომიკურ ზრდას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს.

#### 2.1.1 ეკონომიკური ზრდის კეინზიანური თეორია

ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომი "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია"<sup>1</sup>, ნათლად წარმოგვიჩენს კეინზის შეხედულებებს ეკონომიკური ზრდის შესახებ.

კეინზიანური მოდელში ზრდის საკვანძო ფაქტორია: ეფექტიანი მოთხოვნა, რომელის გაფართოებამაც უნდა განაპირობოს ეკონომიკური ზრდა. მან პროდუქციის რეალიზაციაზე გაამახვილა ყურადღება და ერთობლივი მოთხოვნა შეისწავლა.

შესაბამისად, შემოსავალი  $Y$  დაყო მონარების  $C$  და დანაზოგების  $S$  ჯამათ  $Y=C+S$ . აქედან გამომდინარე, დაზოგვასა და მონარებას შორის არჩევანი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდის ტემპს.

---

<sup>1</sup> კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. // თბ., 1995.

კეინზის აზრით, ფსიქოლოგიური კანონი, რომლებიც ადამიანებს აიძულებს მეტი დაზოგონ, განაპირობებს ნაკლებ მოხმარებას, რასაც მოთხოვნის შემცირებამდე მივყავართ, შესაბამისად, მცირდება წარმოება და ეკონომიკური ზრდა.

კეინზიანურ თეორიაში, ყურადღება მახვილდება დანაზოგებისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირზე. დანაზოგები წარმოადგენს ინვესტიციების წყაროს და მოკლევადიან პერიოდში, დანაზოგები, შეიძლება ინვესტიციების ტოლიც იყოს.  $S=I$ . შემოსავლების ზრდის კვალობაზე, დანაზოგებიც იზრდება, თუმცა, რადგანაც ეკონომიკური სუბიექტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, არ არის აუცილებელი დანაზოგები და ინვესტიციები თანაბრად გაიზარდოს. „ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭების“ ეფექტის შედეგად, შეიძლება, ადიგილი ჰქონდეს დანაზოგების ზრდას და ინვესტიციების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევას. თუ,  $S>I$  - მაშინ ადიგილი ექნება გამოშვების შემცირებას, უმუშევრობის და სასაქონლო მარაგების ზრდას. ხოლო, თუ  $S<I$  - მაშინ ინვესტიციაზე მოთხოვნა აჭარბებს დანაზოგებს, რაც გამოიწვევს ფასების ზრდას.

კეინზის თეორიაში მნიშვნელოვანია მულტიპლიკატორის პრინციპი. იგი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ინვესტიციების ნაზრდი, გამოშვებისა და შემოსავლების ნაზრდზე. მას, ორმხრივი მნიშვნელობა გააჩნია. ერთი მხრივ, საკრედიტო მულტიპლიკატორი ხელს უწყობს ფულადი მასის ზრდას, რაც ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. მეორე მხრივ, სახელმწიფოს ხარჯების მულტიპლიკაციური ეფექტი იწვევს ეფექტიანი მოთხოვნის გაფართოებას. მულტიპლიკაციური ეფექტი ვლინდება მაშინ, როდესაც არსებობს თავისუფალი სამუშაო ძალა და სიმძლავრეები. ასევე არსებითია ის, თუ საინვესტიციო დაბანდებები, რომელ დარგში მიემართება და როგორია მისი სტრუქტურა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მულტიპლიკატორი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებს: მას შეუძლია, როგორც ეროვნული შემოსავლის ზრდის შემცირება, ისე მისი გაძლიერება.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზოგვის ნორმა და ინვესტიციების ეფექტურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. შესაბამისად დაზოგვის და ინვესტიციების ნორმაზე ზემოქმედებით სახელმწიფოს აქვს საშუალება

იმოქმედოს ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე მნიშვნელოვანია მულტიპლიკატორის ეფექტიც. შესაბამისად, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ საბოლოო შედეგები: რაც უფრო მდიდარია ქვეყანა - მით მეტია დაზოგვის ნორმა, მულტიპლიკატორის სიდიდე მცირეა და შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპები. თუ ქვეყანა ღარიბია, მაშინ მისი მზარდი ეროვნული შემოსავლის, თითქმის, მთელი ნაწილი მოიხმარება, რაც იწვევს ძლიერი მულტიპლიკატორის ეფექტს, ე.ი. ინვესტიციების ცვლილებების ზემოქმედება ეკონომიკაზე გაცილებით უფრო არსებითი იქნება.

### 2.1.2 ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზიანური თეორია

კეინზიანური თეორია განიხილავს მოკლევადიან პერიოდს და დეპრესიულ ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო კეინსის მიმდევრებმა გააფართოვეს მისი მიდგომა და გრძელვადიანი პერიოდის ანალიზი შემოგვთავაზეს.

ნეოკეინზიანურ მოდელებში ყველაზე მეტად ცნობილია ინგლისელი ეკონომისტის, როი ჰაროდის (1900 - 1978) და ამერიკელი ეკონომისტის, (წარმოშვებით რუსი ) ევსეი დომარის (1914 - 1997) მიერ შექმნილი მოდელები.<sup>1</sup> ეს მოდელები ერთმანეთს ჰგავს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მეცნიერი ერთიდაიგივე დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა.

აღნიშნულ მოდელებში, გაანალიზებულია გრძელვადიანი პერიოდი. ერთერთი მთავარი დაშვება არის ის, რომ ინვესტიციები და დანაზოგები ერთმანეთის ტოლია ( $I=S$ ). თუმცა გრძელვადიან პერიოდში, წარმოიქმნება განსხვავება დღევანდელ დანაზოგსა და ხვალინდელ ინვესტიციას შორის. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ყველა დანაზოგის ინვესტირება არ ხდება შესაბამისად დანაზოგების და ინვესტიციების დინამიკა, მრავალ ცვლადზეა დამოკიდებული, კერძოდ: კონიქტურაზე, საპროცენტო განაკვეთზე, გადასახადების სიდიდეზე და კაპიტალდაბანდების რენტაბელობაზე.

---

<sup>1</sup> Acemoglu D. - Introduction to Modern Economic Growth.// Department of Economics, Massachusetts Institute of Technology – 2009.



როი ჰაროდის ეკონომიკური ზრდის მოდელში გაკეთებულია ანალიზი შემდეგი ცვლადების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: ფაქტიური  $G$ , ბუნებრივი  $G_n$  და გარანტირებული ზრდის ტემპი  $G_w$ .

ძირითადი განტოლება არის ფაქტიური ზრდის ტემპის განტოლება:

$$G \cdot C = S_y \quad (10)$$

სადაც,  $G$  - არის შემოსავლის ნაზრდის შეფარდება შემოსავლის საბაზისო პერიოდის მაჩვენებელთან ( $G = \Delta Y / Y$ ).

$C$  - არის კაპიტალტევადობის კოეფიციენტი რომელიც გვიჩვენებს ინვესტიციების შეფარდებას შემოსავლის ნაზრდთან ( $C = I / \Delta Y$ ).

$S_y$  - არის დანაზოგების წილი ეროვნულ შემოსავალში ( $S_y = S / Y$ ).

სტაბილური ზრდის ტემპს, რომელიც მიიღწევა მოსახლეობის ზრდით (მოსახლეობის ზრდის ტემპი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანელოვანი ფაქტორია) და მწარმოებლურობის ზრდით, როი ჰაროდი უწოდებს ბუნებრივ ზრდის ტემპს. ესეიგი, ზრდის ისეთი ტემპი, რომელიც გვექნებოდა ქრონიკული უმუშევრობის, ეკონომიკური კრიზისების და გამოუყენებელი სიმძლავრეების არარსებობის შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდის მესამე ფაქტორად, ჰაროდის მოდელში მიჩნეულია დაგროვილი კაპიტალი და კაპიტალტევადობის კოეფიციენტი.

რაც მეტია დანაზოგები, მით მეტია ინვესტიციები შესაბამისად მეტია ეკონომიკური ზრდის ტემპიც. ხოლო კაპიტალტევადობის კოეფიციენტსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის დამოკიდებულება უარყოფითია.

ბუნებრივი ზრდის ტემპი, როი ჰაროდის მოდელში, არის ზრდის ის ტემპი, რომელიც მიიღწევა მოსახლეობის არსებული ტემპის და არსებულ ტექნოლოგიური პირობებში.

ეკონომიკის სტაბილური ზრდის ტემპის პირობებში, ინვესტიციებზე მოთხოვნა გამოიხატება შემდეგი სიდიდით:  $G_n \cdot C_r$ .

სადაც  $G_n$  არის ბუნებრივი ზრდის ტემპი ხოლო  $C_r$  არის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ზრდის ტემპი.

მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდებში, ინვესტიციებზე მოთხოვნა, შეიძლება მერყეობდეს საბრუნავი კაპიტალის ცვლილების ხარჯზე. გრძელვადიან პერიოდში, უცვლელი საპროცენტო განაკვეთის პირობებში  $C_r$  არის ფიქსირებული ცვლადი.

როდესაც გრძელვადიან პერიოდში საპროცენტო განაკვეთი მცირდება, საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის ზრდის ტემპი ( $C_r$ ) იზრდება, ხოლო თუ საპროცენტო განაკვეთი მცირდება -ადგილი აქვს საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის ზრდის ტემპის შემცირებას.

როი ჰაროდის განტოლებას, რომელიც გამოსახავს ბუნებრივი ზრდის ტემპის წონასწორობას და მის დარღვევას აქვს შემდეგი სახე:

$$G_n * C_r = S_Y \quad (11)$$

$$G_n * C_r \neq S_Y \quad (12)$$

სადაც  $S_Y$  - არის დანაზოგები.

თავისი არსით, ეს განტოლება არის კეინზის მოდიფიცირებული განტოლება  $I=S$ . განსხვავება არის ის, რომ კეინზის განტოლებაში ინვესტიციების მოცულობა განისაზღვრება კაპიტალის ეფექტურობით (მოგების ნორმით) და საპროცენტო განაკვეთით. ხოლო ჰაროდის მოდელში, მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია: მოსახლეობის ზრდის ტემპთან, ტექნიკურ პროგრესთან და კაპიტალტევადობის კოეფიციენტთან (ძირითადი და საბრუნავი კაპიტელის მოცულობასთან). ხოლო დანაზოგების მოცულობა კეინზიანურ მოდელებში - განსაზღვრულია მოსახლეობის მიერ დაზოგვისადმი მიდრეკილებით.

ჰაროდმა ხაზი გაუსვა ფაქტიურსა და ბუნებრივი ზრდის ტემპებს შორის განსხვავებას, ასევე მან დაუშვა, რომ, თუ ეს ზრდის ტემპები ერთმანეთის ტოლი გახდება - შესაძლებელი იქნება ზრდის ტემპის ახალი კატეგორიის, "გარანტირებული ზრდის ტემპის ( $G_w$ )", შემოღება, სადაც გარანტირებული ზრდის ტემპი, არის ის პროგნოზირებადი ზრდის მაჩვენებელი, რომელიც აწყობს მწარმოებლებს და იგი განისაზღვრება წარსულის გამოცდილებით და მომავლის მოლოდინებით.

გარანტირებული ზრდის ტემპის განტოლებაში  $G_w * C_r = S_Y$ , სადაც  $S_Y$  მიეკუთვნება წინა პერიოდის, ხოლო  $G_w * C_r$  მომავალი პერიოდის მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებულია დაზოგვის ნორმაზე.

თუ, ფაქტიური ზრდის ტემპი დაემთხვევა პროგნოზირებულს და გარანტირებულს, ადგილი ექნება სტაბილური და უწყვეტ განვითარებას. თუმცა, საბაზრო ეკონომიკაში ასეთი წონასწორობა იშვიათად ხდება. ფაქტიური ზრდის ტემპი, ხშირად გარანტირებულ ზრდის ტემპის ნუშნულზე მაღლა, ან დაბლაა, რაც თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ინვესტიციებზე, შესაბამისად, იგი იზრდება ან მცირდება. როი ჰაროდის აზრით, სწორედ ამით აიხსნება ზრდის ტემპების მოკლევადიანი რყევები.

ეკონომიკური კონიქტურის გრძელვადიან რყევებს, როი ჰაროდი აანალიზებს გარანტირებული და ბუნებრივი ზრდის ტემპების შედარებით და თვლის, რომ გარანტირებული ( $G_w$ ) და ბუნებრივი ( $G_n$ ) ზრდის ტემპები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული, ეკონომიკის გრძელვადიანი პერიოდის დინამიკასთან.

ჰაროდის ფუნდამენტური განტოლების თანახმად

$$G_w * C_r = S_Y = G_n * C_r \quad (13)$$

გარანტირებული, სტაბილური ზრდის დროს დანაზოგების ფაქტიური მოთხოვნა, ტოლია დანაზოგების ისეთი მოთხოვნის, როდესაც ადგილი აქვს ბუნებრივი ზრდის ტემპს.

სტაბილური ზრდის ერთერთი აუცილებელი პირობაა - ინვესტიციების და დანაზოგების ტოლობა. თუ დანაზოგები მეტია საინვესტიციო მოთხოვნაზე, წარმოიქმნება ზედმეტი დანაზოგები, არასრულად გამოიყენება საწარმოო სიმძლავრეები და იზრდება უმუშევრობა.

თუ საინვესტიციო მოთხოვნა აჭარბებს დანაზოგებს ადგილი აქვს ინფლაციურ პროცესებს და ეკონომიკის "გადახურებას".

### 2.1.3 ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორია (სოლოუს მოდელი)<sup>1</sup>

ნეოკლასიკური მიმდინარეობა დაფუძნებულია ოპტიმალურ საბაზრო ეკონომიკაზე, რომელშიც წონასწორობა თვითრეგულირებადი მექანიზმებით მიიღწევა. ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა წარმოების ფაქტორები მაქსიმალურად გამოყენებისთვის, როგორც ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების, ასევე მთლიანი ეკონომიკის მიმართ. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში წონასწორობა ირღვევა, თუმცა ამ წონასწორობის მოდელირება, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და გავაანალიზოთ რეალური პროცესების გადახრა იდეალურიდან.

მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკური ზრდის თეორიების განვითარებაში შეიტანა ნობელის პრემიის ლაურეანტმა, ამერიკელმა ეკონომისტმა, რობერტ სოლოუმ. მან კობდუგლასის წარმოების ფუნქციას მოდიფიცირება გაუკეთა, კიდევ ერთი ფაქტორის შემოტანით. ეს ფაქტორი იყო ტექნოლოგიური განვითარების დონე. სოლოუს მოდელში, მნიშვნელოვანია ის დაშვება, რომ ტექნოლოგიური ცვლილება იწვევს კაპიტალის და სამუშაო ძალის თანაბარ ზრდას.

$$Q = T * F ( K , L ) \quad (14)$$

სადაც Q - არის პროდუქციის გამოშვება; K - არის ძირითადი კაპიტალი; L - არის სამუშაო ძალა; T - არის ტექნოლოგიის განვითარების დონე; F(K, L) - არის კობდუგლასის საწარმოო ფუნქცია.

თუ, გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში კაპიტალის წილი, იზომება ისეთი მაჩვენებლებით როგორცაა: კაპიტალაღჭურვილობა ერთ მომუშავეზე; ფონდის უკუგება (ერთ საწარმოო ფონდზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა); შრომის წილი - შრომის მწარმოებლურობით - მაშინ, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად მიღებული ზრდა შეგვიძლია განვსაზღვროთ იმ სიდიდით, რომელიც რჩება მთლიანი ზრდის მაჩვენებელს გამოკლებული კაპიტალის და შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზრდა. ამ მაჩვენებელს უწოდებენ სოლოუს ნაშთს და იგი გამოხატავს ტექნოლოგიური პროგრესის წილს ეკონომიკურ ზრდაში.

---

<sup>1</sup> Acemoglu D. - Introduction to Modern Economic Growth.// Department of Economics, Massachusetts Institute of Technology – 2009.


რობერტ სოლოუს ანალიზის წინაპირობა იყო ის, რომ კაპიტალი და შრომა ურთიერთჩამნაცვლებლებია, კაპიტალი კლებადი ზღვრული მწარმოებლურობით ხასიათდება; მუდმივია მასშტაბის უკუგება და ძირითადი კაპიტალის გასვლის ნორმა; ინვესტიციების ლაგები არარსებობს.

მაშინ, როდესაც დასაქმებულთა რიცხოვნობა არ იცვლება, გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია კაპიტალის მოცულობაზე (აღნიშნულ შემთხვევაში კაპიტალის ერთ მომუშავეზე გაყოფით მივიღებთ კაპიტალშეიარაღების მაცვენებელს). თავის მხრივ, კაპიტალის მარაგი იცვლება ინვესტიციების ზემოქმედებით და კაპიტალის ცვეთით (ამორტიზაციით).

ხოლო ინვესტიციების ნორმა, დამოკიდებულია დაზოგვის ნორმაზე. თუ დაზოგვის ნორმა მეტია კაპიტალის ცვეთაზე - კაპიტალაღჭურვილობა ერთ მომუშავეზე იზრდება.

$$\Delta k = i - \delta k - nk. \quad (15)$$

კაპიტალშეიარაღების ზრდასთან ერთად - ინვესტიციები მცირდება. შესაბამისად, ინვესტიციები ზრდის კაპიტალს, ხოლო ცვეთა - ამცირებს მას. მაშასადამე, ის დონე, რომლის დროსაც ინვესტიციები კაპიტალში და კაპიტალის ცვეთა ერთმანეთის ტოლია - ადგილი აქვს ეკონომიკის გრძელვადიან წონასწორობას (ეკონომიკა იმყოფება მდგრად მდგომარეობაში).



ნახაზი 2.1. სოლოუს მოდელი; ეკონომიკის მდგრადი დონე

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ზრდა ხდება დაბალანსებული, მისი შემდგომი განვითარების ტემპი დამოკიდებულია - მხოლოდ მოსახლეობის ზრდაზე და ტექნიკურ პროგრესსზე. მოსახლეობის ზრდა, თავის მხრივ, ამცირებს

კაპიტალშეიარაღებას ერთ სულ მოსახლეზე, ასე რომ, მდგრადი დონის შესანარჩუნებლად, ინვესტიციებმა უნდა შეავსოს კაპიტალის ცვეთა და უზრუნველყოს დამატებითი სამუშაო ძალა, კაპიტალის იგივე დონით. ასეთ შემთხვევაში, რომ შევინარჩუნოთ კაპიტალის იგივე მოცულობა, ერთ სულ მოსახლეზე, საჭიროა კაპიტალი იმ ტემპით გაიზარდოს - რა ტემპითაც იზრდება მოსახლეობა.

$$\frac{\Delta Y}{Y} = \frac{\Delta K}{K} = \frac{\Delta L}{YL} \quad (16)$$


სოლოუს მოდელში ტექნიკური პროგრესი არის ერთადერთი პირობა ცხოვრების დონის უწყვეტად ამაღლებისთვის, რადგან მხოლოდ მისი არსებობის შემთხვევაში გვაქვს ერთ სულ მოსახლეზე კაპიტალშეიარაღების და გამოშვების მოცულობის ზრდის სტაბილური მაჩვენებელი.

მიუხედავად ამისა, კაპიტალშეიარაღების  $\frac{K}{L}$  ზრდის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე გამოშვების მოცულობა  $\frac{Q}{L}$  სულ უფრო ნაკლები ტემპით გაიზრდება რადგან კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა კლებადია.

თუ წარმოებას ერთ სულ მოსახლეზე აღვნიშნავთ -  $q$  - ( $Q/L$ ), კაპიტალს ერთ მომუშავეზე -  $k$  - ( $K/L$ ), მაშინ წარმოების ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს

$$q = TF(k) \quad (16)$$

როგორც ნახაზ 2.2-ზე ჩანს, რაც მეტად იზრდება კაპიტალი ერთ სულ მოსახლეზე (კაპიტალშეიარაღება), მით უფრო ნაკლებად იზრდება ზღვრული მწარმოებლურობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა კლებადია. სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს კაპიტალშეიარაღების და მწარმოებლურობის მდგრად დონეს, დაზოგვის ნორმა.



ნახაზი 2.2. წარმოების ფუნქცია ერთ მომუშავეზე

შესაბამისად, სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს ინვესტიციების და დაზოგვის ნორმის ზრდაზე. სახელმწიფოს პოლიტიკამ დანაზოგების ზრდას შეიძლება ორი გზით მიაღწიოს:

- სახელმწიფო დანაზოგების ზრდით
- კერძო დანაზოგების სტიმულირებით.

სახელმწიფო დანაზოგი წარმოადგენს: სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას.

შესაბამისად, სოლოუს მოდელი კარგად ხსნის დანაზოგების, ინვესტიციების და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე და ეს ფაქტორები მოჰყავს უწყვეტი ეკონომიკური ზრდის ერთერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად.

#### 2.1.4 მონეტარიზმი და ეკონომიკური ზრდა

1956 წელს, ჩიკაგოში, მილტონ ფრიდმანის რედაქციით, გამოიცა ნაშრომი სახელწოდებით: "ფულის რაოდენობრივი ანალიზი".<sup>1</sup> ამ ნაშრომს უკავშირებენ ეკონომიკაში ახალი ეპოქის - მონეტარიზმის დაწყებას. მონეტარისტული თეორია განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ეკონომიკის რეგულირება ფულის მასის ინსტრუმენტის მეშვეობით. მონეტარისტები კამათობენ იმაზე, რომ ფულს აქვს დიდი მნიშვნელობა და ფულის მასის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ექსპანსიას,

<sup>1</sup> Friedman, Milton (1956). "The Quantity Theory of Money: A Restatement." In M. Friedman (ed.), Studies in the Quantity Theory of Money. Chicago: University of Chicago Press. 321.

ხოლო ფულის მასის შემცირება იწვევს რეცესიას. მონეტარისტები ეწინააღმდეგებიან კეინზიანურ თეორიას და თვლიან, რომ ფულის მიწოდება გარდაუვალ ეფექტს ახდენს ფასების დონეზე და გამოშვების მოცულობაზე, თუმცა გრძელვადიან პერიოდში, ფულის მასის ზრდა, მხოლოდ ფასების დონეზე ახდენს გავლენას. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა ახლოსაა სრულ დასაქმებასთან და ფულის მასის ზრდა პირდაპირ ახდენს გავლენას ეროვნულ შემოსავალზე.

მონეტარისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ეკონომიკაში ადგილი ექნება სამ ეფექტს, თუ ისინი გადაწყვიტავენ ფულის მიწოდების გაზრდას : ლიკვიდურობის, გამოშვების და ფასების მოლოდინის ეფექტი.

მონეტარისტების აზრით, აშკარაა, რომ ფულის მიწოდების გაზრდა - შეაშუამცირებს საპროცენტო განაკვეთს მოკლევადიან პერიოდში, რაც უბიძგებს ხალხს ფასიანი ქაღალდების გაყიდვისკენ და მეტი ფულის ქონისკენ. ამასთან ერთად, ხალხი დახარჯავს ზედმეტ ფულს ფინანსურ აქტივებში და სამომხმარებლო საქონელში - ეს კი გაზრდის ერთობლივ დანახარჯებს. ერთობლივი დანახარჯების ზრდა, თავის მხრივ, ასტიმულირებს გამოშვების მოცულობის და დასაქმების ზრდას, შესაბამისად, მივიღებთ გამოშვების ეფექტს, რომელიც, საბოლოოდ, ლიკვიდურობის ეფექტის ხარჯზე, მიგვიყვანს საპროცენტო განაკვეთის ზრდამდე.

მარტივად რომ ვთქვათ, გამოშვების ეფექტი - გვაქვს ფინანსურ აქტივების და სამომხმარებლო პროდუქციაზე დანახარჯების ზრდის გამო. ხოლო მოსალოდნელი ფასების ეფექტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ჩნდება მოლოდინები ინფლაციის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონეტარისტების შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ეკონომიკური ზრდის თეორიებზე და მათ გაამახვილეს ყურადღება მონეტარულ პოლიტიკაზე, რომელიც შეიძლება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ერთ-ერთ ფაქტორად მივიჩნიოთ მოკლევადიან პერიოდში.


## 2.2. ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა



მეორე თავის პირველ პარაგრაფში განვიხილეთ თეორიული ნაწილი და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების შეხედულებები ეკონომიკურ ზრდის შესახებ. ხოლო, მეორე თავის მეორე ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ხდება ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მთავრობის მიერ, რა ინსტრუმენტები გამოიყენება და რა არხების მეშვეობით ხდება ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე. ამავე თავში ყურადღებას გავამახვილებთ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირების აუცილებლობაზე ეკონომიკური სტაბილურობის და ზრდის მისაღწევად.

### **2.2.1 ეკონომიკური ზრდა და ფისკალური პოლიტიკა**

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში ბევრი განვითარებული ქვეყანა ეკონომიკური კრიზისების წინაშე აღმოჩნდა. ბიზნესის აქტიურობის კლების, უმუშევრობის ზრდის და ეკონომიკური ზრდის შენელების ერთ-ერთი მიზეზი იყო საჯარო სექტორის ფინანსური პრობლემები (ბიუჯეტის დეფიციტი და მაღალი სახელმწიფო ვალი). შესაბამისად, აუცილებელი გახდა საჯარო სექტორის მენეჯმენტის გადახედვა და მისი ეფექტიანობის ამაღლება. მსოფლიოს ქვეყნების ნაწილი ამ პრობლემებს სერიოზულად მოეკიდა. შესაბამისად, ის ქვეყნები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ამ პრობლემის მოგვარება, (გერმანია; საფრანგეთი; გაერთიანებული სამეფო; შვედეთი; ავსტრალია ;ახალი ზელანდია; ბულგარეთი; ესტონეთი; ლიტვა და ა.შ.) მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭიროა მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა მთავრობისგან და მკაცრი ფისკალური დისციპლინის დაცვა. სწორედ ამ საკითხის წინ წამოწევა და საჯარო სექტორის გამოჯანმრთელება, გახდა ეკონომიკის გამოჯანსაღების და ზრდის მიზეზი, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში.



გრაფიკი 2.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე<sup>1</sup>

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით, გერმანიასა და ნიდერლანდებს ფისკალური სისტემის მარეგულირებელი აქტები, მასტრიხტის შეთანხმებამდე გაცილებით ადრე ჰქონდათ მიღებული და სწორედ ამიტომ, მათ დღეს ყველაზე განვითარებული ეკონომიკა გააჩნიათ, ევროზონაში.

ამ კუთხით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გამოირჩევა სამი ქვეყანა: საქართველო, ესტონეთი და ლიტვა. ამ ქვეყნებმა საკუთარი ინიციატივით შემოიღეს ფისკალური დისციპლინის კანონები. თუმცა ესტონეთის და ლიტვის შემთხვევაში, ეს ნაბიჯი სავალუტო საბჭოს მონეტარული სისტემის მოთხოვნის გამო გააკეთეს, საქართველოს კი ასეთი ვალდებულება არ ჰქონდა.

გარდა ამისა, არათუ არ დაყენებულა გადასახადების გაზრდის შემზღვეველი მოთხოვნა, სავალუტო ფონდის და მსგავსი ორგანიზაციების მხრიდან, არამედ არც მოწონებულა.

შემდგომმა მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ გარდა ხარჯების, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შეზღუდვებისა, აუცილებელია არსებობდეს ახალი გადასახადების შემოღების, ან ძველი გადასახადის ზრდის შეზღუდვა. ეს

<sup>1</sup><https://data.worldbank.org/>

რეგულირება უზიძგებს მთავრობას მეტი სიზუსტით განსაზღვროს პრიორიტეტები და მოახდინონ ხარჯების ოპტიმიზაცია.

თუ გავანალიზებთ საბერძნეთის მაგალითს, მან დაარღვია ფისკალური დისციპლინის მოთხოვნები და ამის შედეგად წარმოიქმნა კრიზისი. ასეთი კრიზისების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ისეთი მინიმალური შეზღუდვა, როგორცაა "ეკონომიკური თავისუფლების აქტი".

იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ხდება ფისკალური პოლიტიკის ფორმირება, საჭიროა განვსაზღვროთ ფისკალური პოლიტიკის ფუნქციები და სირთულეები, რომლის გადალახვაც გვიწევს ფისკალური პოლიტიკის გატარების დროს.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ეკონომიკური კრიზისების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკა, კონსტიტუციურად, შეზღუდული და გაკონტროლებული იყოს.

ნებისმიერ მთავრობას თავისი ვალდებულებებისა შესასრულებლად სჭირდება ფინანსური რესურსები. თავდაპირველად უნდა განისაზღვროს ის, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები ამ ვალდებულებების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ისეთ ამოცანებზე ორიენტირება, რომელებიც არ აღემატება ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, როგორც მოკლევადიან - ისე გრძელვადიან პერიოდში. ასევე, მნიშვნელოვანია უპირველესად შესრულდეს ისეთი ამოცანები, როგორცაა ქვეყნის უსაფრთხოება და მშვიდობის შენარჩუნება.

მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მთავრობა თავად შედის ეკონომიკურ ბაზარზე აქტიურ მოთამაშედ - ეკონომიკური პროცესების წარმართვისთვის. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის ჩარჩოები, თუ რა დონით უნდა ჩაერიოს მთავრობა ეკონომიკაში. ამ კუთხით, შეიძლება გამოვკვეთოთ სამი ძირითადი ასპექტი, როდესაც ხდება ამ ჩარჩოების დარღვევა, რამაც შეიძლება ეკონომიკური კრიზისებამდე მიგვიყვანოს:

- მთავრობები აქტიურად ცდილობენ სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობას. ამ შემთხვევაში პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ეს სექტორები სცდება საჯარო სექტორის დანიშნულებას. შესაბამისად, წარმოიქმნება ხელოვნური მონოპოლიები და მცირედება საბაზრო ეფექტურობა.

- მეორე შემთხვევა გვხვდება მაშინ, როდესაც მთავრობის მოცულობა იზრდება და სულ უფრო მეტ სექტორში ებმება. შესაბამისად უფრო ნაკლები რესურსები ხვდება ინდივიდების ხელში. მთავარი პრობლემა არის ის, რომ რესურსები არაეფექტიანად გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში, ხდება უხარსხო პროდუქციის წახალისება, პრივილეგირებული ჯგუფების შექმნა, არაკონკურენტუნარიანი და არაკონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება.
- მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ფისკალური პოლიტიკის გატარების შედეგად გვხვდება, არის ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობა. მთავრობის მიერ მიღებული ნებისმიერი რეგულაცია, თუ გადასახადი უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ უნდა შემცირდეს კერძო სექტორი. შესაბამისად აუცილებელია ნებისმიერი ასეთი პლიტიკის სარგებლიანობის და რენტაბელობის დამტკიცება. მაგალითად, როდესაც ხდება ერთი სექტორის წახალისება სხვა დანარჩენის შემცირების ხარჯზე, მნიშვნელოვანია სწორად შევაფასოთ პრიორიტეტები. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა ცდილობს შეზღუდოს, ან წახალისოს საქმიანობის გარკვეული მიმართულებები, შეიძლება წავაწყდეთ დისკრიმინაციულ მოვლენას, რამაც, საბოლოოდ, შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდამდე მიგვიყვანოს. ასევე, მთავრობის მიერ გარკვეული პოლიტიკის გატარებისას, აუცილებელია განისაზღვროს ეკონომიკის მასშტაბები. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ მცირე ზომის ეკონომიკაში - მცირედმა ცვლილებებმაც კი შეიძლება დიდი ეკონომიკური რყევები გამოიწვიოს.

შესაბამისად, საკითხი დგება ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობაზე და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაზე.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ მთავრობის მიერ რესურსების ეფექტიანად ხარჯვას, სასურველია ქვეყანაში არსებობდეს შემდეგი ინსტიტუტები:

- მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და მონიტორინგი.
- კონკრეტული გეგმების მისაღებად მთავრობის პროგრამების ხარჯების დაგეგმვა, ამ ხარჯების მაქსიმალური გამჭვირვალობა და

ანგარიშვალდებულება. ასევე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მკაცრი წესების არსებობა.

- ხელისუფლების შტოების, ხელისუფლების დონეების და პოლიტიკური მოთამაშეების კონკურენცია
- საჯარო და კერძო ინსტიტუტების კონკურენცია.
- 

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფისკალური პოლიტიკა ფორმირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ კონიქტურაზე. მისი ეფექტიანობა განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. რაც უფრო ეფექტიანად ხდება მთავრობის მიერ რესურსების გადანაწილება, იმ დარგებში, სადაც კერძო სექტორის ფუნქციონირება არაეფექტიანია, მით უფრო მეტი დადებითი ეფექტი აქვს ეკონომიკურ პოლიტიკას. ასევე მნიშვნელოვანია მეტი რესურსის დატოვება კერძო სექტორისთვის, რომ იგი უფრო გაფართოვდეს, რადგან ეკონომიკის წრებრუნვის გაზრდა თავად მოითხოვს მეტ განათლებას, ინოვაციას და ა.შ. შესაბამისად, კონკურენციის არსებობა ხელს შეუწყობს მის განვითარებას. გარდა ამისა, მოქალაქეებისკენ მეტი პასუხისმგებლობის გადანაწილება - ხელს შეუწყობს გრძელვადიანი საქმიანობის და დანაზოგების წახალისებას.

შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ, უშუალოდ, ფისკალური პოლიტიკის განხილვაზე და იმ არხებზე, რომლის საშუალებითაც იგი ეკონომიკაზე ზემოქმედებს.

ფისკალურ პოლიტიკას ორი მიმართულება გააჩნია:

- ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას, ან გადასახადების ზრდას (ან ორივე ერთად).
- ფისკალური პოლიტიკის შემსუბუქება გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების ზრდას ან/და გადასახადების შემცირებას.

მოკლევადიან პერიოდში, ფისკალური პოლიტიკის ცვლილება ეკონომიკაზე: საქონლისა და მომსახურებაზე, შინამეურნეობების, ბიზნესის და მთავრობის მოთხოვნაზე ცვლილების არხით ზემოქმედებს, გამოშვების პოტენციურ დონეზე. მაგალითად, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა, რომელიც გადასახადების

შემცირებასა და სახელმწიფო ხარჯების ზრდას გულისხმობს - ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც ქმნის დასაქმებისა და წარმოების სტუმულს.

საპირისპირო შედეგებს აქვს ადგილი - ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების შემთხვევაში.

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა, გამოშვების პოტენციურ დონეზე შემდეგი არხების მეშვეობით ახდენს გავლენას: სახელმწიფო ვალის ოდენობის ცვლილება, იწვევს კერძო და სახელმწიფო სექტორის სტიმულების ცვლილებას დანაზოგებთან და ინვესტიციებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს შრომის და კაპიტალის მწარმოებლურობაზე.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება ეკონომიკაზე განსხვავებულია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. თუ მოკლევადიან პერიოდში ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკა ხელსაყრელია, გრძელვადიან პერიოდში იგი უარყოფით ზეგავლენას მოახდენს, ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, მოკლევადიან პერიოდში პერიოდში, თუ ექსპანსიური პოლიტიკა განაპირობებს მოთხოვნის ზრდას, შესაბამისად იზრდება: გამოშვება, შემოსავალი და საგადასახადო შემოსავალი - გრძელვადიან პერიოდში იგი გაზრდის სახელმწიფო ვალს, შესაბამისად, შემცირდება დანაზოგები, კაპიტალის მარაგი და თავისთავად, გამოშვებაც.

თუმცა, აღნიშნული შემთხვევა შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ, თუ ფისკალური პოლიტიკის ცვლილება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოკლევადიან პერიოდში, პოზიტიურად იმოქმედებს გრძელვადიან პოტენციალზე და გაანეიტრალებს სახელმწიფო ვალის უარყოფით ეფექტებს.

საბოლოო ჯამში, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფისკალური პოლიტიკა როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტი, შეგვიძლია გამოვიყენოთ ორი მიმართულებით: დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის და ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების მეშვეობით. როგორც წესი მიიჩნევა, რომ ანტიციკლური დისკრეციული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას ეკონომიკური ბუმის დროს და მის სტიმულირებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას, მნიშვნელოვანია, მაკროეკონომიკური

სტაბილიზაციის მისაღწევად, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ამ პოლიტიკის გატარება მიზანშეწონილი არ არის. მაგალითად დიდი საგარეო დისბალანსის დროს.

გარდა ფისკალური პოლიტიკისა, მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის საკითხი, რომელსაც შემდეგ ქვეთავებში განვიხილავთ.

## 2.2.2 მონეტარული პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა

მონეტარული პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ფულადი სისტემის რეგულირებას. მიუხედავად იმისა, თუ როგორაა ორგანიზებული მონეტარული პოლიტიკა, საბოლოოდ იგი გულისხმობს ფულის მართვის ცენტრალიზებულ სისტემას.

მონეტარული პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანია: ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა, უმუშევრობის შემცირება და ფასების სტაბილურობა.

მონეტარული პოლიტიკის გამტარებელია ცენტრალური ბანკი (საქართველოში ეროვნული ბანკი), რომელიც მთავარი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მაკროეკონომიკური ანალიზის მეშვეობით, ცდილობს განსაზღვროს, თუ რა რაოდენობის ფული უნდა იყოს ეკონომიკაში. შესაბამისად, უზრუნველყოფს ფულის მასის რეგულირებას.

ამისათვის ცენტრალური ბანკი იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- სავალდებულო რეზერვებზე მოთხოვნის ცვლილება
- ბანკებისთვის სესხების შეთავაზება
- ოპერაციები ღია ბაზარზე

მონეტარულ პოლიტიკაში, გაცვლითი კურსის რეჟიმები შეიძლება დაყვით შემდეგ კატეგორიებად: მკაცრად ფიქსირებული (Hard peg regimes), შუალედური (Intermediate regimes) და მცურავი რეჟიმები (Floating regimes).

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას, იგი განსხვავებულია სხვადასხვა გაცვლითი კურსის რეჟიმების შემთხვევაში და თანამედროვე ეკონომიკაში, იგი განსაზღვრავს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მოქნილობას და შესაძლებლობებს .

ძირითადად, გამოიყენება შემდეგი რეჟიმები:

- ფიქსირებული გაცვლითი კურსი
- მიზნული გაცვლითი კურსი
- მიზნობრივი ინფლაცია
- "დოლარიზება"
- შერეული მოდელი

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**ფიქსირებული გაცვლითი კურსის** დროს ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსი ფიქსირებულია სარეზერვო ვალუტასთან, ან რამოდენიმე ვალუტის შეწონილ კალათასთან. მთავარი პრინციპი არის ის, რომ ადგილობრივი ვალუტის ყოველი ერთი ერთეული უნდა იყოს უზრუნველყოფილი სარეზერვო ვალუტის სათანადო რეზერვით.

ამგვარი სისტემა იმართება შეზღუდული უფლებამოსილების "ცენტრალური ბანკის" მიერ და ფლობს რეზერვებს, რომელიც არანაკლებ 110% ით უზრუნველყოფს ვალუტის M0 აგრეგატს. (თუმცა თანამედროვე სავალუტო საბჭოები უზრუნველყოფენ M2 აგრეგატს.)

ფიქსირებულმა გაცვლითმა კურსმა, ასევე, უნდა უზრუნველყოს პირველი მოთხოვნისთანავე შეუზღუდავი განაღდების გარანტია.

ცენტრალური ბანკის შემოსავალი ყალიბდება სარეზერვო ვალუტის განკარგვიდან მიღებული სარგებლით და მიმდინარე ოპერაციებით.

ცენტრალურ ბანკს არ გააჩნია დისკრეციული უფლებები: არ გასცემს სესხს, მათ შორის, მთავრობებზე და კომერციულ ბანკებზე.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს, ადგილობრივ ბაზარზე, სარგებლის განაკვეთის და ინფლაციის მაჩვენებლები ახლოსაა სარეზერვო ვალუტის ქვეყნების მაჩვენებლებთან. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სისტემა წარმოადგენს "ოქროს სტანდარტის" სისტემის ერთ-ერთ ნაირსახეობას. შესაბამისად, ასეთი სისტემის



არსებობის შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკა შეზღუდულია ფიქსირებული გაცვლითი კურსის გამო.

**მიზმი** გაცვლითი კურსის დროს ადგილობრივი ვალუტის კურსი, სარეზერვო ვალუტასთან განსაზღვრულია, მაგრამ ორმხრივი განაღდება გარანტირებული არაა და დაშვებულია გადახრა გარკვეული შუალედის ფარგლებში. ეს სისტემა ცენტრალური ბანკის მიერ იმართება და მას აქვს ფართო დისკრეციული უფლება-მოვალეობები. რათქმუნდა, ვალუტის მხოლოდ ნაწილია უზრუნველყოფილი სარეზერვო ვალუტის საჭირო რეზერვებით. კურსის მართვა ხდება ღია ბაზარზე ოპერაციების მეშვეობით (სავალუტო ვაჭრობებში მონაწილეობით). ცენტრალური ბანკები იყენებენ საბანკო სექტორის რეგულირების ისეთ მეთოდებს, როგორცაა: საწესდებო კაპიტალის დაწესება ნაკებისთვის, სარეზერვო მოთხოვნების დაწესება კაპიტალსა და მოზიდულ სახსრებზე, სხვადასხვა სავალუტო და საკრედიტო ოპერაციების ინსტრუქციების დადგენა, კონტროლი და ა.შ.

**მიზნობრივი ინფლაციის** მოდელის შემთხვევაში, მიზნობრივი მაჩვენებელი წინასწარ არის გამოცხადებული და მონეტარული პოლიტიკა იმ მიმართულებითაა მიმართული, რომელიც უზრუნველყოფს ამ მაჩვენებლის მიღწევას საშუალოვადიან პერიოდში.

როდესაც ცენტრალური ბანკი იყენებს მცურავ გაცვლით კურსს, მცირე ეკონომიკის შემთხვევაში, ეს იწვევს ბაზრის მოკლევადიან რყევებს. თუმცა გაცვლითი კურსი მოქნილია და მისი კორექტირება ხდება ცენტრალური ბანკის მიერ - სარეზერვო ვალუტის ყიდვა გაყიდვით.

ასევე ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია - რეფინანსირების მოკლევადიან სესხებზე სარგებლის განაკვეთის დაწესება. თუმცა ეს სარგებლის განაკვეთი გამომდინარეობს, არა რეალური საბაზრო შეფასებით, არამედ ბიუროკრატიული მიზანშეწონილობით.

**ე.წ. "დოლარიზება"** გულისხმობს საერთაშორისო სავალუტო სივრცეში ყველაზე მოთხოვნადი ვალუტის გამოყენებას ადგილობრივ სივრცეში, რაც თავისმხრივ, გულისხმობს, ამ ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის პასიურ მიღებას. შესაბამისად, ადგილობრივი "ცენტრალური ბანკის" ფუნქციები შემოიფარგლება ზოგადი ფულად-

საკრედიტო რეგულირებით. მაგალითად, საკრედიტო დაწესებულებებზე ლიცენზიების გაცემით და მოზიდულ და კაპიტალის სახსრებზე სარეზერვო მოთხოვნის დაწესებით.

**შერეული მოდელის** დროს არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკა იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს ერთმანეთის პარალელურად. აღნიშნული მოდელის პირობებში ცენტრალური ბანკი სარგებლობს სრული დისკრეციის უფლებით და დამოკიდებულია პლოტიკურ მმართველობაზე.

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას, თავდაპირველად, განვიხილოთ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელსაც ცენტრალური ბანკები იყენებს. მაგალითისთვის, განვიხილოთ ფედერალური სარეზერვო სისტემის ინსტრუმენტები: რეზერვებზე მოთხოვნა, ბანკებისთვის სესხების შეთავაზება და ოპერაციები ღია ბაზარზე. სავალდებულო რეზერვები არის - რეზერვების ის რაოდენობა, რომელიც ბანკებმა საჩუკო დეპოზიტების პროპორციულად უნდა იქონიონ.

სავალდებულო რეზერვებზე მოთხოვნის ზრდა, იწვევს ცენტრალური ბანკის ფულზე მოთხოვნის ზრდას, რაც თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთის ზრდას გამოიწვევს. შესაბამისად ეს ინსტრუმენტი მოქმედებს საპირისპირო მიმართულებითაც. თუმცა არნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებას, შეიძლება, მოყვეს გაცემული სესხების უკან დაბრუნების მოთხოვნა ბანკების მხრიდან.

მეორე ინსტრუმენტი, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა იყენებს, არის ბანკებისთვის სესხის შეთავაზება. იმას თუ რამდენად გასცემს სესხს და რა პირობით ეწოდება დისკონტის პოლიტიკა, ხოლო იმ განაკვეთს რა განაკვეთითაც გაიცემა სესხი არის დისკონტის განაკვეთი. შესაბამისად, დისკონტის განაკვეთის შემცირებით ცენტრალური ბანკი ზრდის მონეტარულ ბაზას. მესამე და მთავარი ინსტრუმენტი რომელსაც ეროვნული ბანკები იყენებენ, არის ოპერაციები ღია ბაზარზე, რომელიც გულისხმობს ღია ბაზარზე ობლიგაციების ყიდვა გაყიდვას. როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს ობლიგაციებს იგი ქმნის ფულს. ხოლო, როდესაც ყიდის

ობლიგაციებს იგი ახდენს ეკონომიკიდან ფულის ამოღებას. შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუმენტი ყველაზე მოსახერხებელი და მოქნილი საშუალებაა. რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნულ თემას მესამე თავში დავუბრუნდებით და დეტალურად განვიხილავთ იმ მექანიზმებს რომელის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოში მონეტარულ პოლიტიკას.

ჩვენ მოკლედ განვსაზღვრეთ თანამედროვე მონეტარული სისტემები, ასევე განვიხილეთ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, შესაბამისად შეგვიძლია გადავიდეთ იმ ნაწილზე თუ, როგორი მონეტარული პოლიტიკა უნდა იყოს გატარებული კონკრეტულ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ და რა გავლენას მოახდენს იგი გამოშვებაზე, შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე.


როგორც ვიცით, ცენტრალური ბანკის მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, შესაბამისად, ცენტრალური ბანკი ცდილობს ინფლაცია შეინარჩუნოს მის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს. მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი არის ისეთი მაჩვენებელი, რომელიც მცირედით არემატება ნულს. ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა უნდა ცდილობდეს ფაქტიური ინფლაციის დონესა და მიზნობრივ ინფლაციას შორის სხვაობა მინიმალური იყოს. გარდა ამისა ცენტრალური ბანკი ცდილობს ეკონომიკის, სტაბილიზაციას - ეკონომიკური აქტივობის ისეთი დონის მიღწევას, როდესაც გამოშვება პოტენციური დონის ტოლია.

თუ გავანალიზებთ ერთობლივ მიწოდებას და ერთობლივ მოთხოვნას დავინახავთ, რომ ეკონომიკაში გვაქვს სამი ტიპის შოკები : ერთობლივი მოთხოვნის შოკი, დროებითი მიწოდების შოკი და მუდმივი მიწოდების შოკი. აღსანიშნავია ის, რომ მოთხოვნის შოკებისა და მუდმივი მიწოდების შოკების პირობებში მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეუძლიათ ერთდროულად, როგორც ფასების, ისე ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაცია. მაგრამ დროებითი მიწოდების შოკების არსებობისას მათ შეუძლიათ ან ფასების, ან ეკონომიკის სტაბილიზაცია და არა ორივე ერთად.

შესაბამისად განვიხილოთ თითოეული შემთხვევა და ის, თუ როგორ შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს აღნიშნულ შოკებზე.

### ერთობლივი მოთხოვნის შოკი

ერთობლივი მოთხოვნის შოკის დროს ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ. მაგალითად 2007 წლის აგვისტოში არსებულმა ფინანსური ბაზრების რღვევამ გაზარდა ფინანსური ხარვეზები და გამოიწვია მომხმარებლებისა და ბიზნესის დანახარჯების შემცირება. მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს ორი გზა აქვთ: არ მოახდინონ რეაგირება - ასეთ შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის მრუდი დარჩება  $AD_2$ -ში, ხოლო წონასწორობა კი  $AS_1$ -სა და  $AD_2$ -ის გადაკვეთის წერტილში, სადაც ერთობლივი გამოშვება მცირდება  $Y_1$ -მდე, იგი ნაკლებია პოტენციურ გამოშვებაზე და ინფლაციაც მცირდება  $\pi_2$ -მდე, შესაბამისად ინფლაციაც ნაკლებია მიზნობრივ მაჩვენებელზე. ეკონომიკური აქტივობა დაბალია და დასაქმებულები კმაყოფილდებიან ხელფასების მცირე ნაზრდით. ეს კი საშუალებას აძლევს ფირმებს წარმოებული საქონლი და მომსახურება გაყიდონ დაბალ ფასებში, ამის შედეგადაც ინფლაცია მცირდება. არსებულ ვითარებაში, მცირდება მოსალოდნელი ინფლაციაც და ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი გადაადგილდება ქვემოთ და მარჯვნივ.




ნახაზი 2.1. ერთობლივი მოთხოვნის შოკი. ეროვნული ბანკი არ ახდენს რეაგირებას <sup>1</sup>

ნახაზი 2.1-ის მიხედვით, ერთობლივი მიწოდების საწყისი მოკლევადიანი მრუდი გადაადგილდება  $AS_3$ -ში და წონასწორობა გადავა წერტილ 3-ში, სადაც ერთობლივი გამოშვება უბრუნდება თავის პოტენციურ დონეს, ხოლო ინფლაცია კი მცირდება  $\pi_3$ -მდე. ერთი შეხედვით, ეს შედეგი სასურველია, მაგრამ ჯერ ერთი, გამოშვების დაბრუნებას თავის პოტენციურ დონეზე გარკვეული დრო სჭირდება და მეორეც, თუ ინფლაცია შოკის დაწყებამდე თავის პოტენციურ დონეზეა, მაშინ მისი ამგვარი შემცირება არასასურველია.

მეორე შემთხვევაა, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის შოკის საპასუხოდ, ხდება ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა და ინფლაცია მოკლევადიან პერიოდში. ამ დროს, ცენტრალური ბანკი ატარებს იაფი ფულის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას ნებისმიერი ინფლაციის პირობებში, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას. აღნიშნული ქმედება ასტიმულირებს საინვესტიციო დანახარჯებს და ზრდის ერთობლივი გამოშვების მოთხოვნის რაოდენობას, ნებისმიერი ინფლაციის დონის პირობებში.

---

<sup>1</sup> Mishkin, Frederic S. The economics of money, banking and financial markets / Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed. 2011



ნახაზი 2.2. ერთობლივი მოთხოვნის შოკი. სტაბილიზაციის პოლიტიკა და ინფლაცია მკლევადიან პერიოდში.<sup>1</sup>

ე.ი, რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი  $AD_2$ -დან უკან გადაადგილდება  $AD_1$ -ში და ეკონომიკაც უბრუნდება წონასწორობის წერტილ 1-ს (იხ. ნახაზი 2.2). (2007 წლის სექტემბრიდან სწორედ ამ ხერხს მიმართა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, კერძოდ თხუთმეტი თვის განმავლობაში ამცირებდა ფედერალური სახსრების განაკვეთს 5%-დან 0.25%-მდე).


შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის შოკის არსებობისას არანაირი ურთიერთწინააღმდეგობა არ არსებობს ფასების სტაბილიზაციასა და ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას შორის.

### რეაგირება მუდმივი მიწოდების შოკზე

მუდმივი მიწოდების შოკის ილუსტრირებას მოვახდენთ ნახაზის 2.3-ის მეშვეობით, სადაც თავდაპირველი ეკონომიკური წონასწორობა არის წერტილ 1-ში, ერთობლივი

<sup>1</sup> Mishkin, Frederic S. The economics of money, banking and financial markets / Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed. 2011


გამოშვება იმყოფება თავის ბუნებრივ დონეზე ( $Y_1^p$ ) და ინფლაცია არის  $\pi^T$ . წარმოვიდგინოთ, რომ რეგულაციების გაზრდის შედეგად ეკონომიკა განიცდის მიწოდების მუდმივ ნეგატიურ შოკს. მოცემული შოკის გამო პოტენციური გამოშვება დაეცემა  $Y_1^p$ -დან  $Y_3^p$ -მდე და ერთობლივი მიწოდების გრძელვადიანი მრუდი გადაადგილდება მარცხნივ  $LRAS_1$ -დან  $LRAS_3$ -ში. მუდმივი მიწოდების შოკის დროს გვაქვს ფასების შოკი, რომელიც ერთობლივი მიწოდების მოკლევადიან მრუდს გადაადგილებს ზემოთ  $AS_1$ -დან  $AS_2$ -ში. შესაბამისად სასულალება გვაქვს ორი შესაძლო პოლიტიკა გავატაროთ :



ნახაზი 2.3. მუდმივი მიწოდების შოკი. მონეტარული პოლიტიკა არ ახდენს რეაგირებას

**რეაგირების გარეშე დატოვება** - თუ მონეტარული პოლიტიკის გამტარებლები მონეტარულ პოლიტიკას დატოვებენ უცვლელად, მაშინ წონასწორობა გადავა წერტილ 2-ში, სადაც ინფლაცია გაიზრდება  $\pi_2$ -მდე და გამოშვება შემცირდება  $Y_2$ -მდე. ვინაიდან, წონასწორობის ახალ (2) წერტილში ერთობლივი გამოშვება დაბალია თავის პოტენციურ გამოშვებაზე, ამიტომ ერთობლივი გამოშვების მოკლევადიან მრუდი კვლავ გადაადგილდება ზემოთ მანამ, სანამ ის არ მიაღწევს  $AS_3$ -ს, სადაც იკვეთება  $AD_1$  და  $LRAS_3$  მრუდები. ე.ი წონასწორობა გადადის წერტილ 3-ში, სადაც გამოშვების ხვრელი „ამოვსებულია“, მაგრამ ინფლაციაა გაზრდილი  $\pi_3$ -მდე და გამოშვებაა შემცირებული  $Y_3^p$ -მდე.

ინფლაციის სტაბილიზაციის პოლიტიკა<sup>1</sup> - მუდმივი მიწოდების ნეგატიური შოკის დროს, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეუძლიათ ინფლაციის შენარჩუნება თავის მიზნობრივ დონეზე, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით, რომელიც ილუსტრირებულია ნახაზ 2.4 - ზე. ამ შემთხვევაში, მთავარი სამიზნე არის ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება მარცხნივ  $AD_3$ -ში, სადაც, ის კვეთს ერთობლივი მიწოდების გრძელვადიან მრუდს და ამ გადაკვეთის წერტილში, ინფლაცია არის მიზნობრივი ინფლაციის ( $\pi^T$ ) ტოლი. „ძვირი ფულის პოლიტიკის“ განხორციელება, რაც გულისხმობს რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ნებისმიერი ინფლაციის პირობებში. შედეგად ეს გამოიწვევს საინვესტიციო დანახარჯების შემცირებას და შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის შეკუმშვას. ეკონომიკური წონასწორობა გადავა წერტილ 3-ში, სადაც გამოშვების ხვრელი ნულის ტოლია და ინფლაცია იმყოფება თავის მიზნობრივ დონეზე.



ნახაზი 2.4. ერთობლივი მიწოდების მუდმივი შოკი: ინფლაციის სტაბილიზაციის პოლიტიკა  
 ე.ი ინფლაციის ხვრელის ნულოვან დონეზე შენარჩუნება იწვევს გამოშვების ხვრელის განულებას და აქედან გამომდინარე ინფლაციის სტაბილიზაცია, ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას ახდენს.

<sup>1</sup> Mishkin, Frederic S. The economics of money, banking and financial markets / Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed. 2011




### რეაგირება დროებით მიწოდების შოკზე<sup>1</sup>

როდესაც მიწოდების შოკი დროებითია, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლები მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის სტაბილიზაციასა და ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას შორის არსებულ ურთიერთწინააღმდეგობის წინაშე დგანან. ამ ყველაფრის ილუსტრირებისათვის გამოვიყენოთ ნახაზი 2.5. მოცემულ ნახაზზე თავდაპირველი წონასწორობა არის წერტილ 1-ში, სადაც ერთობლივი გამოშვება თავისი ბუნებრივი დონის ( $Y^p$ ) ტოლია და ინფლაციაც თავის მიზნობრივ დონეზეა ( $\pi^T$ ). ნეგატიური მიწოდების შოკის შედეგად, ვთქვათ ნავთობზე ფასების ზრდის გამო, ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი გადაადგილდება ზემოთ და მარცხნივ  $AS_1$ -დან  $AS_2$ -ში. უცვლელი დარჩება გრძელვადიანი მრუდი, რადგან დროებითი შოკები მასზე გავლენას ვერ ახდენს. ეკონომიკური წონასწორობა გადავა წერტილ 2-ში, სადაც ინფლაცია ზრდება  $\pi_2$ -მდე და გამოშვება ეცემა  $Y_2$ -მდე. დროებითი მიწოდების შოკზე რეაგირების მოხდენა პოლიტიკოსებს შეუძლიათ სამი გზით :

**რეაგირების გარეშე დატოვების** შედეგად ერთობლივი მოთხოვნის მრუდი რჩება უცვლელი. ვინაიდან წერტილ 2-ში ერთობლივი გამოშვება აღემატება თავის პოტენციურ დონეს, საბოლოოდ, ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი დაუბრუნდება თავის თავდაპირველ მდგომარეობას,  $AS_1$ -ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წონასწორობაც დაბრუნდება წერტილ 1-ში და გამოშვებისა და ინფლაციის ხვრელები „ამოივსება“. ერთი სიტყვით გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი უბრუნდება თავის თავდაპირველ მდგომარეობას. გრძელვადიან პერიოდში არანაირ იურთიერთწინააღმდეგობა არ არსებობს ფასების სტაბილიზაციასა და ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას შორის.

---

<sup>1</sup> Mishkin, Frederic S. The economics of money, banking and financial markets / Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed. 2011




ნახაზი 2.5. დროებითი მიწოდების შოკი. მონეტარული პოლიტიკის გამტარებლები რეაგირებას არ ახდენენ.

თუმცა, გრძელვადიანი პერიოდის დადგომამდე, ეკონომიკა იმყოფება არაჯანსაღ მდგომარეობაში - მაღალი ინფლაციისა და დაბალი გამოშვების გამო, რაც კარს უდებს მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას, რათა მოხდეს ინფლაციის ან ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაცია.

**ინფლაციის სტაბილიზაციის პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში** - დროებითი მიწოდების შოკზე რეაგირების მეორე გზა, გულისხმობს მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის შენარჩუნებას თავის მიზნობრივ დონეზე ( $\pi^T$ ) "ძვირი ფულის პოლიტიკის", ანუ რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის მეშვეობით, ნებისმიერი ინფლაციის დონის პირობებში. რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს საინვესტიციო დანახარჯების შემცირებას და შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის შეკუმშვას, რომლის შედეგადაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ  $AD_3$ -ში (იხ. ნახაზი 2.6). წონასწორობა გადავა ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა ( $AD_3$ ) და ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდის ( $AS_2$ ) გადაკვეთის წერტილ 3-ში, სადაც ინფლაცია უტოლდება თავისი მიზნობრივი დონეს ( $\pi^T$ ). ვინაიდან წერტილ 3-ში ერთობლივი გამოშვება ნაკლებია თავის პოტენციურ დონეზე, ამიტომ ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი უკან გადაადგილდება  $AS_1$ -ში და მიზნობრივი ინფლაციის დონის ( $\pi^T$ ) შესანარჩუნებლად, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებმა ერთობლივი მოთხოვნის მრუდი უკან დაბრუნონ ( $AD_1$ ) -ში, რომელიც მოითხოვს

არსებული ძვირი ფული პოლიტიკის ჩანაცვლებას, იაფი ფულის პოლიტიკით. საბოლოოდ კი, გარკვეული დროის შემდეგ, ეკონომიკა დაუბრუნდება თავის თავდაპირველ წონასწორობას წერტილ 1-ში.




ნახაზი 2.6. დროებითი მიწოდების შოკი. ინფლაციის სტაბილიზაცია მოკლევადიან პერიოდში<sup>1</sup>

ნახაზ 2.6-ზე არსებული ილუსტრაციის მიხედვით, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის სტაბილიზაცია ამცირებს ერთობლ გამოშვებას  $Y_2$ -მდე და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ უბრუნდება თავის პოტენციურ დონეს. დროებითი მიწოდების შოკზე რეაგირებისას, ინფლაციის სტაბილიზაცია იწვევს ერთობლივი გამოშვების გადახრას თავის პოტენციური დონიდან, აქედან გამომდინარე, მოცემული ქმედება ეწინააღმდეგება ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას.

**ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა** მოკლევადიან პერიოდში (გამოშვების სტაბილიზაცია) - დროებითი მიწოდების შოკზე რეაგირების მესამე გზა გულისხმობს ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით მოკლევადიან პერიოდში. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ნიშნავს მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზ 2.7-ზე.

<sup>1</sup> Mishkin, Frederic S. The economics of money, banking and financial markets / Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed. 2011



ნახაზი 2.7. ერთობლივი მიწოდების დროებითი შოკი. გამომშვების სტაბილიზაცია მოკლევადიან პერიოდში

მაშასადამე, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება ( $AD_2$ ) -ში, სადაც ის კვეთს ერთობლივი მიწოდების მოკლევადიან და გრძელვადიან მრუდებს წერტილ 3-ში. ამის გაკეთება შესაძლებელია იაფი ფულის პოლიტიკით, ანუ რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირებით, ნებისმიერი ინფლაციის დონის პირობებში. წერტილ 3-ში გამომშვების ხვრელი ნულის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ მონეტარული პოლიტიკის შედეგად მოხდა ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაცია და არა ინფლაციის, რადგან ამ წერტილში ინფლაცია აღემატება თავის მიზნობრივ მაჩვენებლს.

დროებითი მიწოდების შოკზე რეაგირებისას ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაცია იწვევს ინფლაციის ზრდას, ანუ არ ხდება ინფლაციის სტაბილიზაცია.

### 2.2.3 მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ურთიერთკავშირი

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირება, შეგვიძლია, განვიხილოთ ევროკავშირის მაგალითი.

დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკით და სტაბილურობაზე ორიენტირებული პოლიტიკის მეშვეობით, ევროკავშირს აქვს გამჭვირვალე და კარგად პროგნოზირებადი მონეტარული პოლიტიკა. შესაბამისად არ არსებობს არანაირი გაურკვეველობა, იმის შესახებ, თუ როგორი ინება მოქმედებები მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან, სხვადასხვა ეკონომიკური რყევების, მათ შორის ფისკალური ცვლილებების

მიმართ, შესაბამისად, იგი იქნება ფასების და ეკონომიკის სტაბილურობისკენ მიმართული.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტაბილურობა - წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის მთავარ პრინციპებს და ამ პრინციპებს მასტრიხტის ხელშეკრულებაც (1992) ამყარებს. ეს ორი პრინციპი, გამოხატავს მთავარ ეკონომიკურ ლოგიკას, რომელიც მდგომარეობს ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მოვალეობების გადანაწილებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ევროკავშირის საერთო მიზნების უკეთ მიღწევაში. ფისკალური პოლიტიკა და სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც იწვევენ ფასების ცვლილებას, გავლენას ახდენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. შესაბამისად სტაბილურობაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა, ანალიზში ითვალისწინებს ასეთ ცვლილებებს. თუმცა, ზოგჯერ, სათანადო პოლიტიკური ინსტრუმენტების არარსებობის და არასათანადო კომუნიკაციის გამო, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირება შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში ბუნდოვანია, თუ რომელი პოლიტიკის გამტარებელია პასუხისმგებელი საბოლოო შედეგებზე. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითოეული პოლიტიკის გამტარებელი, ცენტრალური ბანკი და მთავრობა, უნდა აანალიზებდეს ერთმანეთის ქმედებებს და იღებდეს შესაბამის ზომებს, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკური სტაბილურობისკენ, რადგან არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა შეიძლება ეკონომიკურ რეცესიამდე მიგვიყვანოს.

საბოლოოდ რომ ვთქვათ, მონეტარული პოლიტიკა მიმართულია მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ, რომელიც გულისხმობს ფასების სტაბილური და პროგნოზირებად დონეს საშუალოვადიან პერიოდში.

რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, მას უნდა ჰქონდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ორიენტაცია, ასევე, მან უნდა უზრუნველყოს გადასახადების სტაბილურობა, ხოლო მოკლევადიან პერიოდში - იგი უნდა ეყრდნობოდეს ავტომატურ ფისკალურ სტაბილიზატორებს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა იმყოფება რეცესიაში, სახელმწიფო ფინანსებში სტრუქტურული ცვლილებები გამართლებულია.


## თავი 3. ეკონომიკური ზრდა საქართველოში: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები

3.1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოკლე მიმოხილვა და ძირითადი ტენდენციები.

### 3.1.1 ეკონომიკური ზრდა და ზრდის ტენდენციები

იმისათვის, რომ შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ტენდენციები და გამოწვევები, საჭიროა გავანალიზოთ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. მიმოხილვა დავიწყოთ რეალურ სექტორში მომხდარი ცვლილებებით და ეკონომიკური ზრდით.


2018 წელი მზარდი ტენდენციით დაიწყო და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 4.7 % შეადგინა.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ნიშნული მე-2 კვარტალში დაფიქსირდა და 5.6%-ს შეადგენდა. ეკონომიკური ზრდის, შედარებით დაბალი მაჩვენებელი, გვაქვს 2019 წლის დასაწყისში. პირველ თვეში მან 3.5%, ხოლო პირველ კვარტალში 4,7% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რეიტინგებში საქართველო 52 ადგილზეა.<sup>2</sup>



გრაფიკი 3.1. ეკონომიკური ზრდა 2018 -2019 წ (2019წ 4 თვის)

<sup>1</sup> [https://mof.ge/makroekonomikuri\\_analizi](https://mof.ge/makroekonomikuri_analizi)

<sup>2</sup> <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2018/09/24/world-economic-outlook-october-2018>




გრაფიკი 3.2. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა.(წყარო საქსტატი)

ჩვენ, ასევე შეგვიძლია გავანალიზოთ ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2004 წლიდან 2018 წლის ჩათვლით და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. როგორც გრაფიკ 3.2-ზე ვხედავთ, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2007 წელს ფიქსირდება. თუმცა, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის და ომის შედეგად, გვაქვს ეკონომიკური ზრდის ვარდნა და 2009 წელს ფიქსირდება ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი, რომელიც შეადგენს -3.7%-ს შემდეგ უკვე ეკონომიკა იზრდება 2011 წლამდე. შესაბამისად, ბოლო 4 წლის მანძილზე ზრდის ყველაზე მაღალი წლიური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2017 წელს და შეადგენს 4.8%.<sup>1</sup>

დავუბრუნდეთ 2018 წელს და გავანალიზოთ ეკონომიკის ზრდის სტრუქტურა. სექტორების მიხედვით. ეკონომიკური ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ სექტორებში: ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, მომსახურების გაწევა, ტრანსპორტი და საფინანსო საქმიანობა.


<sup>1</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>



გრაფიკი 3.3. ეკონომიკური სექტორების ზრდა წინა წელთან შედარებით და წვლილი ზრდაში.

გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ის განმსაზღვრელი მიმართულებები რომლებსაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ეკონომიკურ ზრდაში.

**ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების წვლილები მშპ-ის ზრდაში**




გრაფიკი 3.4. ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების წვლილი მშპ-ის ზრდაში (წყარო ეროვნული ბანკი)

როგორც 3.4 გრაფიკზე ვხედავთ, ბოლო წლებში, ეკონომიკურ ზრდაში, წამყვანი როლი უჭირავს მომსახურების სფეროს ზრდას. სავარაუდოთ ეს გამოწვეულია ტურიზმის სფეროს ზრდით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის დარგის წილი, ეკონომიკურ ზრდაში, ძალიან მცირეა, რაც ნიშნავს რომ აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის პოტენციალი არ გამოიყენება. გარდა ამისა, 2018 წლის მეორე კვარტლიდან შეინიშნება ინდუსტრიული სფეროს წილის შემცირება ზრდაში, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.



რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს, თუ ფინანსთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ პროგნოზს დავყრდნობით<sup>1</sup>, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შემდეგი მაჩვენებლები გვექნება: 2019 წელი რეალური ზრდის 5%-იანი მაჩვენებელია მოსალოდნელი, 2020 წელს, იგი გაიზრდება 5.5%-მდე და 2021-2022 წლებში ეს მაჩვენებლები გაუტოლდება 6%-ს. რათქმაუნდა ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკაში არსებული ტენდენციები შენარჩუნდება.




გრაფიკი 3.5. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (წყარო საქსტატი (ფინანსთა სამინისტრო))

განვიხილოთ მთლიან შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. ეს მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2018 წელს წინასწარი შეფასებით 11 059 ლარს შეადგენს. ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 600 აშშ დოლარს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით ამ 2018 წლის მაჩვენებლით საქართველო 109 ადგილზეა მსოფლიოში.<sup>2</sup>


<sup>1</sup> [https://mof.ge/makroekonomikuri\\_analizi](https://mof.ge/makroekonomikuri_analizi)

<sup>2</sup> <https://www.imf.org/en/publications>



გრაფიკი 3.6. მთლიანი შიდა პროდუქტი 2003 - 2019 პირველი კვარტალი. (გამოსახული საბაზრო და საბაზისო ფასებში; აშშ დოლარში; მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში, მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ დოლარში). წყარო საქსტატი (დანართი 1)


საქართველოს ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, უმუშევრობის დონე წარმოადგენს, აღსანიშნავია ის ფაქტი, ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა და 12.7 % შეადგინა ხოლო 2017 წელს 13.9% იყო. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ უმუშევრობის მაღალი დონე ფიქსირდება 15-24 და 25-34 ასაკობრივ ჯგუფებში.



გრაფიკი 3.7. უმუშევრობის დონე 2008- 2018 წლები.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 42. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>

რაც შეეხება შრომის პროდუქტიულობას, იგი 3.8%-ით გაიზარდა შრომის მეურნეობის დარგში, თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა ინდუსტრიულ და მომსახურების დარგებში.




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 3.8. შრომის პროდუქტიულობა საშუალო ხელფასი და პროდუქტის ერთეულზე პერსონალის ხარჯის ზრდა. (2009-2018 წლები ) წარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი.

### 3.1.2 ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

რეალური სექტორის და ეკონომიკური ზრდის მიმოხილვის შემდეგ, გადავიდეთ ფასების დონის მიმოხილვაზე. როგორც ვიცით, ინფლაცია მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და მისი მაღალი დონე, უარყოფითად ახდენს გავლენას, ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. ეს რეჟიმი გულისხმობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და მონეტარული პოლიტიკის გატარებას იმ მიმართულებით, რომელიც ინფლაციის ფაქტიური დონე დაუახლოვდება მიზნობრივ მაჩვენებელს. საქართველოში, მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი არის 3%. რაც შეეხება ფაქტიურ მაჩვენებლებს, ბოლო წლებში ინფლაციის დონე 2007 წელს 6 % იყო, რაც მიზნობრივ დონეზე 2%-ით მაღალია (მიზნობრივი მაჩვენებელი 2017 წელს 4 % იყო). ხოლო 2018 წელს ინფლაციის მაჩვენებელი თავის მიზნობრივ დონეზე (3%) დაბალი 2.6% დაფიქსირდა. ხოლო მარტში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ და ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე, შესაბამისად, 3.0% და 4.8% შეადგინა.

შერეულ საქონელზე ფასებმა კი 1.4%-ით მოიმატა. გრაფიკი 12 ის მიხედვით შეგვიძლია დავინახოთ სხვადასხვა პროდუქტის წვლილი ინფლაციაში.




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

გრაფიკი 3.9. სხვადასხვა პროდუქტების წვლილი ინფლაციაში.(წყარო საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი)

როგორც ვხედავთ, 2019 წელს ინფლაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სურსათის და თამბაქოს ფასების ცვლილება.

წინა თავში განვიხილეთ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის. ამ თავში კი, შეგვიძლია გავანალიზოთ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ეროვნული ბანკის არგუმენტები მის ცვლილებასთან დაკავშირებით. 2019 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკმა შეარბილა მონეტარული პოლიტიკა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.25 -0.25 პროცენტული პუნქტით შეამცირა იანვარში და მარტში შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5%-ს შეადგენს. 2019 წლის 1 მაისს ჩატარებული მონეტარული კომიტეტის სხდომის შედეგად, გადაწყდა რომ მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი უცვლელი უნდა დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი მოთხოვნა კვლავ ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. ასევე უცვლელი დარჩა საპროცენტო განაკვეთი 12 ივნისს ჩატარებულის სხდომის შედეგადაც.



გრაფიკი 3.10. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. (წყარო: ეროვნული ბანკი)

მოსალოდნელია, რომ ინფლაციაც ერთჯერადი, ეგზოგენური ფაქტორების, ამოწურვის შედეგად მიზნობრივი დონისკენ იმოძრაავებს.<sup>1</sup>

გარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებისა, ეროვნულმა ბანკმა გაზარდა უცხო ვალუტით მოზიდულ მოკლევადიან სახსრებზე რეზერვების ნორმა 20% - დან 25% - მდე, ხოლო 1 დან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის თვის 10 დან 15%. უნდა აღინიშნოს რომ, ეს გადაწყვეტილება მიმართულია ლარიზაციის წახალისებისკენ. აგრეთვე ეს იმოქმედებს ფინანსური სექტორის მდგრადობის ამაღლებაზე. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მონეტარული პოლიტიკის მიზანი, ვერ იქნება ინფლაციაზე მოქმედი მოკლევადიანი და ერთჯერადი ფაქტორების სრული განეიტრალება. ეს უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის და უმუშევრობის მერყეობის ხარჯზე. ხოლო ეროვნული ბანკი მთავარი მათგანაა მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ის, თუ რამდენად სწრაფად დაუბრუნდება ინფლაცია მიზნობრივ დონეს და როგორი გავლენა ექნება ამ გადაწყვეტილებას ეკონომიკური ზრდაზე.


### 3.1.3 ფისკალური და საგარეო სექტორი

#### საგარეო სექტორი

<sup>1</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს რომ 2017 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირდებოდა და ამ ტენდენციამ 2018 წელსაც გადმოინაცვლა იგი -7.7%-მდე შემცირდა.


მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება ძირითადად დაკავშირებულია ეროვნული დანაზოგების ზრდასთან, რამდენადაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წარმოადგენს სხვაობას ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. როგორც ვიცით დანაზოგების ზრდა დაკავშირებულია 2017 წელს გატარებული რეფორმასთან, რომელიც გულისხმობს რეინვესტირებული მოგების და გადასახადის დაბეგვრისგან განთავისუფლებას (ესტონურ მოდელი).



გრაფიკი 3.11. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მისი დაფინანსების წყაროები (წყარო: ფინანსთა სამინისტრო)

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსმა მთლიანი შიდა პროდუქტის 5.5% შეადგინა. ვალით დაფინანსებული დეფიციტი კი მთლიანი შიდა პროდუქტის 2.2 პროცენტი იყო.<sup>1</sup>

<sup>1</sup> [https://mof.ge/makroekonomikuri\\_analizi](https://mof.ge/makroekonomikuri_analizi)



გრაფიკი 3.12. საგარეო ვალი (წყარო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)


საქართველოს კიდევ ერთ სისუსტედ, საგარეო ვალი მიიჩნევა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში იზრდებოდა და 2017 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს, მთლიანი შიდა პროდუქტის 114%-ს მიაღწია. თუმცა, 2018 წელს წინა წელთან შედარებით უფრო დაბალი მაჩვენებელი - მთლიანი შიდა პროდუქტის 110% დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებლის გაუმჯობესებას შეგვიძლია დავუკავშიროთ სამთავრობო სექტორის ვალის შემცირებას და კომპანიათაშორისი სესხების კლებას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი წვლილი სახელმწიფო ვალის ზრდაში, შეიძლება შეიტანოს გაცვლითი კურსის გაუფასურებამ. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ვალის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. უარყოფითი გავლენა გამოწვეულია იმით, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად საგარეო მოთხოვნა მცირდება და იზრდება სესხის მომსახურების ხარჯიც, რაც თავის მხრივ, ამცირებს განკარგვად შემოსავალს.

რაც შეეხება სავაჭრო ბრუნვას, უნდა ვთქვათ, რომ 2019 წელს დადებითი ტენდენციები შეინიშნება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირებულია ექსპორტ იმპორტის სალდო და გაზრდილია ბრუნვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპორტის



ზრდის ტენდენცია 2017 წლიდან აღინიშნება, თუმცა 2018 წელს ექსპორტ-იმპორტის სალდო გაიზარდა.



გრაფიკი 3.13. სავაჭრო ბრუნვა (მილიონი აშშ დოლარი)(2019 წლის მონაცემები მოცემულია მაისის თვის ჩათვლით. წყარო საქსტატი) (დანართი 2)<sup>1</sup>


ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ექსპორტის ზრდა გამოწვეულია არა ფასისმიერი ზრდით არამედ რეალური ექსპორტის ზრდით, რაც ეკონომიკური მდგომარეობის გამოჯანსაღებას უსვამს ხაზს.

### ფისკალური სექტორი

2018 წელს 2017 წელთან შედარებით ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლების მობილიზება 1074.7 მილიონი ლარით (9.2%-ით) გაიზარდა და 12693.4 მილიონი ლარი შეადგინა. გეგმიური მაჩვენებელი 103%-ით შესრულდა და გადაჭარბებამ 293 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა მიმართული იქნება: დანაზოგებში, დეფიციტის შემცირებაზე, და დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2018 წელს 521 მილიონი ლარის დღგ-ს ზედმეტობა დაბრუნდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 200 მილიონით აღემატება.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები  
(მლნ ლარი)



გრაფიკი 3.14. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. (ფინანსთა სამინისტრო).

გარდა ამისა, 2018 წელს ბიუჯეტის დეფიციტს, აქვს დადმავალი ტრენდი და წინასწარი მონაცემებით შეადგენს 2.5%, რაც დაგეგმილ მაჩვენებელზე 0.3 % ით ნაკლებია.

თუმცა, 2019 წლის ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია 2.6 % ის დონეზე რაც 2018 წლის მაჩვენებელს 1% ით არემატება.

2019 წლის პროგნოზით, ბიუჯეტის შემოსავლები 12 863.8 მილიონი ლარი იქნება, რაც წინა წელთან შედარებით 1.3% ით მეტია.

აქედან გადასახადები, საპროგნოზო მაჩვენებელი, შეადგენს 11 280 მილიონ ლარს, რაც გათვალისწინებულია ეკონომიკური ზრის 4.5 % ის და ინფლაციის 3.5% ის პირობებში.


გარდა ამისა, გათვალისწინებულია კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, საგადასახადო ბაზის ცვლილება და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები. კერძოთ:

- საპენსიო რეფორმის შემოღება (-70.0 მლნ ლარი);
- მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა (-25.0 მლნ ლარი);
- სსიპების და სხვა ორგანიზაციების ესტონურ მოდელზე გადაყვანა (-30.0 მლნ ლარი);
- BP მიერ გადასახდელი თანხა (140.0 მლნ ლარი);
- ოქროს სიის გაუქმება (100.0 მლნ ლარი);

მიმოვიხილოთ 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებიც, უნდა აღინიშნოს რომ, ბიუჯეტის ყველაზე მეტი სახსრები მიმართულია - ჯანდაცვის და სოციალური

პროექტების განხორციელებაზე. ეს შეადგენს მთლიანი ხარჯების 30%-ს. 16,7% მიმართულია - რეგიონალური განვითარების პროექტებზე ინფრასტრუქტურასა და ტურიზმზე. ბიუჯეტის ხარჯების 15.6% მიმართულია თავდაცვაზე და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე. ასევე 9.9% დაიხარჯება განათლებაზე.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრიორიტეტების დაფინანსებაზე მიმართული სახსრები



გრაფიკი 3.15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრიორიტეტების დაფინანსებაზე მიმართული სახსრები 2019 წელი (წყარო ფინანსთა სამინისტრო).

### ეკონომიკური ზრდის ზოგადი მიმოხილვა

საერთო შეფასების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში შეინიშნება გამოჯანსაღება და უახლოეს პერიოდში ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდება. მნიშვნელოვანია რომ, ბოლო წლებში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა ინსტიტუტების განვითარებისკენ და ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობისკენ.

ქვეყნის განვითარებაზე მიუთითებს ისიც რომ, სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა: მსოფლიო ბანკის „Doing Business“ 2019<sup>1</sup> წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 2018 წელთან შედარებით 3 ადგილით გაუმჯობესდა და საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-9

<sup>1</sup> <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2018/09/24/world-economic-outlook-october-2018>


ადგილიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. საქართველო იკავებს პირველ ადგილს იკავებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. მაღალია ეკონომიკური გახსნილობის დონე და უზრუნველყოფილია კაპიტალის, საქონლისა თუ მომსახურების თავისუფალი მოძრაობა.

Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით. ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership)<sup>1</sup> მიერ გამოქვეყნებულ “ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017-ის“ შედეგების თანახმად, საქართველოს რეიტინგი 2018 წელთან შედარებით 3 ადგილით გაუმჯობესდა და საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-9 ადგილიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ამ მაჩვენებლით, საქართველო პირველ ადგილს იკავებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

ეკონომიკური ზრდის საერთო ანალიზისთვის საჭიროა შევადაროთ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი აღემატება განვითარებული ქვეყნების ზრდის ტემპებს მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო მაჩვენებლებს, თუმცა როგორც ვიცით კონვერგენციის თეორიის თანახმად განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპებს აღწევენ ვიდრე განვითარებული ქვეყნები. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის გაანალიზების დროს კარგად ვხედავთ, რომ 2013 , 2014 და 2015 წლებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ნაკლები იყო, როგორც განვითარებადი ქვეყნების, ასევე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე.

---

<sup>1</sup> Open Budget Survey 2017 - <https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/results-by-country/country-info/?country=ge>




გრაფიკი 3.16 ეკონომიკური ზრდა საქართველო და მსოფლიო<sup>1</sup>

გარდა ამისა ჩვენ შეგვიძლია გავანალიზოთ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კომპონენტების მიხედვით.

როგორც გრაფიკ 3.17 ვხედავთ, 2017 – 2018 წლებში ეკონომიკური ზრდა გვექონდა ექსპორტის ზრდის ხარჯზე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2017 წლამდე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა ხდებოდა ინვესტიციების და მოხმარების ხარჯზე, ხოლო წმინდა ექსპორტი ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ ინვესტიციების შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინეს ეკონომიკურ ზრდაზე, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდამ მნიშვნელოვანი, როლი ითამაშა ეკონომიკურ ზრდაში.

<sup>1</sup> [https://www.imf.org/external/datamapper/NGDP\\_RPCH@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD](https://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD)

### რეალური მშპ-ის კომპონენტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 3.17 რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის კომპონენტები (წყარო საქართველოს ეროვნული ბანკი)<sup>1</sup>

საბოლოო ჯამში, აღნიშნული მონაცემების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები და მისი ძირითადი ტენდენციები.

## 3.2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მოდელი საქართველოსთვის

### 3.2.1 შესავალი

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან უთანასწორობის სათანადო შეფასება, საშუალებას იძლევა რესურსები სწორი მიმართულებით იქნას მიმართული, რაც განვითარების და ეკონომიკური ზრდის მაღალი დონის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა უთანასწორობის მაღალი დონე ამცირებს სიღარიბის დონის შემცირების შესაძლებლობას.

<sup>1</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2019/may\\_2019.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2019/may_2019.pdf)

ინკლუზიური ზრდა მიზანშეწონილად მიიჩნევა ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას ზრდაში და ემიჯნება „კალდორ-ჰიკსის“ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც მთავარი ეკონომიკური ზრდაა და შემდეგ ზრდის რედისტრიბუცია სოციალური უზრუნველყოფის გზით.

სხვადასხვა გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებას, სახელმწიფო სერვისების განვითარებას, განათლების დონის ამაღლებას, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, ეკონომიკის გახსნილობას კაპიტალზე და კრედიტებზე ხელმისაწვდომობას - შეუძლია ქვეყანაში კეთილდღეობის დონის ამაღლება. აქედან გამომდინარე დღეს მნიშვნელოვანია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საკითხი, რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყანა ზემოთ აღნიშნული გამოწვევების წინაშე დგას. ერთერთი ასეთი ქვეყანაა - საქართველო, სადაც სიღარიბე და უმუშევრობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

თანასწორობის შესაძლებლობა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ბირთვს წარმოადგენს და საშუალებას აძლევს ეკონომიკას განვითარდეს ისეთი მიმართულებებით, როგორცაა დასაქმება, განვითარების შესაძლებლობა, სტაბილური და დაბალანსებული ეკონომიკური ზრდა, სოციალური სამართლიანობა, სამართლიანი და თანაბარი ზრდის შესაძლებლობა, უთანასწორობის შემცირება.

ინკლუზიური ზრდის ინდექსის გასაზომად და მისი დეტერმინანტების განსაზღვრისთვის. შეგვიძლია გამოვიყენოთ აზიის განვითარების ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია<sup>1</sup>, რომელიც სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენებით, საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის ინდექსი.

შესაბამისად, ჩვენ უნდა ავაგოთ მოდელი, რომელიც ითვალისწინებს: ეკონომიკურ ზრდას, უთანასწორობას, წყლის და სანიტარულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მთავრობის ეფექტურობას. ამის შემდეგ, ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით ავაგებთ ავტორეგრესიული ლაგების განაწილების მოდელს(ARDL), რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ რამდენად ახდენს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდზე

---

<sup>1</sup> McKinley T. - Inclusive Growth Criteria and Indicators: An Inclusive Growth Index for Diagnosis of Country Progress // ADB Sustainable Development Working Paper Series 2010 N1235.

გავლენას სხვადასხვა დეტერმინანტები, შესაბამისად ჩვენ საშუალება მოგვცემა შევავსოთ საქართველოს ეკონომიკური ზრდა და დავინახოთ, თუ რა არის საჭირო ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის გასაზრდელად.

### 3.2.2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გაზომვა. მოდელის დახასიათება და მეთოდოლოგია.

ინკლუზიური ზრდის მოდელის ასაგებად საჭიროა რამოდენიმე ეტაპის გავლა, რომელიც შემუშავებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ.<sup>1</sup>

პირველი ეტაპია განზომილებების და ინდიკატორების განსაზღვრა:

დავუშვათ, რომ შესაფასებელი ინკლუზიურობის ინდექსის მაჩვენებელი ტოლია :

$U = \{u_1, u_2, u_3, \dots, u_n\}$  ; შეფასების არეალია  $U = \{u_{j1}, u_{j2}, u_{j3}, \dots, u_{jm}\}$ ; ჯამური შეფასებებია  $U = \{u_{j11}, u_{j21}, u_{j31}, \dots, u_{jim}\}$ ; სადაც  $j$  არის შეფასების განზომილება,  $i$  არის შეფასების არეალი,  $m$  არის შესაფასებელი მაჩვენებელი.

მეორე ეტაპია მაჩვენებლებისთვის წონების მინიჭება. თითოეული ინდიკატორისთვის წილების მინიჭება ხაზს უსვამს ამ ინდიკატორების წვლილს ინკლუზიური ზრდის ინდექსში. თუ ვივარაუდებთ, რომ მთლიანი წონა არის  $W$  მაშინ  $W = \{w_1, w_2, w_3, \dots, w_i\}$ ;

მესამე ეტაპზე, ვატარებთ ცვლადების ანალიზს და სტანდარტიზაციას. მას შემდეგ რაც ავაგებთ შესაფასებელ ინდიკატორს . შევავსებთ თითოეულ მაჩვენებელს ერთმანეთის მიყოლებით, ჩვენ გვექნება  $R$  მატრიცა:

$$U_R = \{r_{111}, r_{112}, \dots, r_{11m}\}$$

მეოთხე ეტაპზე, ვაჯამებთ შეწონილი ინკლუზიურობის ინდექსს.

$$IGI = \sum (\sum U_R * w_j) * W_i$$

სადაც  $U_R$  სტანდარტიზირებული ერთი ქულაა ;  $W_j$  ინდიკატორის კონკრეტული წონა, ხოლო  $W_i$  - მთლიანი განზომილების წონა.

<sup>1</sup> McKinley T. - Inclusive Growth Criteria and Indicators: An Inclusive Growth Index for Diagnosis of Country Progress // ADB Sustainable Development Working Paper Series 2010 N1235.

ინკლუზიურობის მაქსიმალური მაჩვენებელი არის 100. და რაც უფრო ახლოსაა ეს მაჩვენებელი 100 თან მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობა. რათქმუნდა აღნიშნულ ინდიკატორში მაჩვენებელი მოიცავს ისეთ მაროეკონომიკური მაჩვენებლებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს, როგორც უარყოფითი ისევე დადებითი მნიშვნელობები, ასევე ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ვარირებენ კონკრეტულ მნიშვნელობებს შორის.<sup>1</sup> შესაბამისად ვახდენთ მათ გარდაქმნას და სკალირებას

### **წონების და ქულების მინიჭება.**

კომპოზიტიური ინდექსი ეფუძნება ქულების და წონების მინიჭების მეთოდოლოგიას რომელიც შემუსავებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ და ითვალისწინებს მნიშვნელობების კორექტირებას. აღნიშნული ინდექსი აგებულია შეწონილ საშუალოებზე, რომლებიც მერყეობენ 0-დან 10-მდე და დამოკიდებულია ქვეყნის შესაძლებლობებზე. ძირითადად იგი აგებულია 4 კომპონენტზე რომელიც მოიცავს: ეკონომიკურ ზრდას განვითარებას და ინფრასტრუქტურას; უთანასწორობა სიღარიბე და უთანასწორობას; ხელმისაწვდომობას (ჯანდაცვა, სანიტარული ნორმები და ა.შ.) და მმართველობას. აღნიშნული 4 კომპონენტი მიიღება შემდეგი მაჩვენებლების მეშვეობით:

- ეკონომიკური ზრდა ერთ სულ მოსახლეზე (წლიური %).
- დასაქმება ინდუსტრიულ სექტორში (% წილი მთლიან დასაქმებაში).
- დასაქმება მომსახურების სფეროში (% წილი მთლიან დასაქმებაში).
- ენერჯის გამოყენება (კილოგრამი ნავთობი ერთ სულ მოსახლეზე).
- ჯინის ინდექსი.
- 2 \$ ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანების წილი მთლიან მოსახლეობაში.
- სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობის წილი (% მაჩვენებელი).

---

<sup>1</sup> KHAN A, KHAN A , SAFDAR S , MUNIR S , ANDLEEB Z - Measurement and Determinants of Inclusive Growth: A Case Study of Pakistan (1990-2012) ©The Pakistan Development Review 55:4 Part II pp. 455-466. 2016




- ბავშვებში მთლიან საშუალო განათლების მიღების პროცენტული მაჩვენებელი.
- 5 წლამდე ასაკში ბავშვების მოკვდავობა 1000 დაბადებულზე.
- წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობა (% მაჩვენებელი).
- სანიტარულ ნორმების უზრუნველყოფა (% მაჩვენებელი)
- მთავრობის ეფექტურობა
- კორუფციასთან ბრძოლის ინდექსი

შესაბამისად, თითოეული ამ მაჩვენებლების ქულების და წონების შერჩევას ვახდენთ ზემოთ აღნიშნულიმეთოდოლოგიით, ასევე ქვეყნის შესაძლებლობის გათვალისწინებითდა ვიღებთ ინდექსებს, რომლის მნიშვნელობები განსაზღვრულია 0-10-მდე და გვაქვს სამი შემთხვევა: თუ ეს მაჩვენებელი არის 0-3 მდე, მაშინ ადგილი აქვს არადამაკმაყოფილებელ ინკლუზიურ ზრდას; 4-7 ის ფარგლებში გვაქვს დამაკმაყოფილებელი ინკლუზიური ზრდა და 8-10 ის შემთხვევაში ეკონომიკის ზრდა მაღალი ინკლუზიურობით ხასიათდება.

### **მონაცემების შეგროვება**

მოდელის ასაგებათ საჭიროა მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ვიყენებთ მსოფლიო ბანკის მონაცემებს საქართველოს შესახებ. თუმცა აქაც გვექმნება რამოდენიმე პრობლემა, რადგან რამოდენიმე მონაცემი გამოტოვებულია. მაგალითად მსოფლიო ბანკის მონაცემებში არ გვაქვს სიღარიბის მაჩვენებელი (Poverty headcount ratio at \$2 a day (PPP)) შესაბამისად ვიყენებთ საქსტატის მიერ გამოთვლილ ანალოგიურ მაჩვენებელს. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში გამოტოვებული მონაცემების ექსტრაპოლაციას ვახდენთ და ვიღებთ საჭირო მონაცემებს (დანართი 3).

ასევე მნიშვნელოვანია მიუთითოთ, თუ რა ერთეულებშია გამოსახული თითოეული მაჩვენებელი. შესაბამისად ვახენთ მონაცემების ქულების და წონების მინიჭებას ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე, შემდეგ, ვაჯამებთ და ვითვლით ინკლუზიური ზრდის ინდექსს: (დანართი 4).



გრაფიკი 3.18. ინკლუზიური ზრდის ინდექსი

მართალია, ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები და გამოყენებული მეთოდოლოგია, საშუალებას არ გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ ინკლუზიურობის მაჩვენებელი, თუმცა იგი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მისი ცვლილება დროში და ძირითადი მიმართულება. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობა 2000 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდულობით იგი ზრდას ანელებს და ზოგ შემთხვევაში მცირდება კიდევაც, საბოლოო ჯამში იგი მაინც ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, ჩვენ ვხედავთ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რომ ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურობაზეა ორიენტირებული.

### 3.2.2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტები.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ ინკლუზიური ზრდის ინდექსი აერთიანებს ისეთი მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავს ეკონომიკურ ზრდას, უთანასწორობას, სანიტარულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მთავრობის ეფექტურობას ერთ მაჩვენებელში და გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად ინკლუზიურია ეკონომიკური ზრდა.

<sup>1</sup> KHAN A, KHAN A , SAFDAR S , MUNIR S , ANDLEEB Z - Measurement and Determinants of Inclusive Growth: A Case Study of Pakistan (1990-2012) ©The Pakistan Development Review 55:4 Part II ( 2016) pp. 455–466

გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ, თუ რამდენად მოქმედებს მასზე სხვა ფაქტორები: ფინანსური განვითარება, გლობალიზაცია<sup>1</sup> და ეკონომიკური სტაბილურობა. ესეიგი, ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით, შეგვიძლია ავაგოთ მოდელი და შევამოწმოთ, თუ რამდენად ახდენს გავლენას ეს ფაქტორები ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობაზე.

ავაგოთ განტოლება და აღვწეროთ მონაცემები(დანართი 4.):

$$g_t = \alpha_0 + \alpha_1 FD_t + \alpha_2 TO_t + \alpha_3 \Delta CPI_t + \varepsilon_t$$

- $g_t$  - არის ინკლუზიური ზრდის ინდექსი  $t$  პერიოდში
- $FD_t$  - არის ფინანსური განვითარების მაჩვენებელი, რომელიც განვსაზღვრეთ კერძო სექტორის კრედიტების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების პროცენტული მაჩვენებელით.
- $TO_t$  - არის გლობალიზაციის მაჩვენებელი, რომელიც განვსაზღვრეთ სავაჭრო გახსნილობით (სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან).
- $\Delta CPI_t$  - (ეკონომიკური სტაბილურობა), რომელიც დაფუძნებულია საბაზო ინფლაციის მაჩვენებელზე (2010 = 100).

ARDL<sup>2</sup> - მოდელის უპირატესობა ისაა, რომ საშუალებას გვაძლევს მოდელში შევიტანოთ სტაციონალური და არასტაციონალური (  $I(1)$  და  $I(0)$  პროცესები) ცვლადები და დავაკვირდეთ მათ გრძელვადიან კავშირს და უნარს ახსნან პროცესი.

მოდელის აგების პირველ ეტაპზე ვაკვირდებით არის თუ არა კონტეგრაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

ARDL Cointegrating And Long Run Form  
 Dependent Variable: INC  
 Selected Model: ARDL(1, 0, 0, 0)  
 Date: 07/03/19 Time: 21:11

<sup>1</sup> Meschi, E. and M. Vivarelli (2007) Globalisation and Income Inequality. (Discussion Paper No. 2958).

<sup>2</sup> KHAN A, KHAN A , SAFDAR S , MUNIR S , ANDLEEB Z - Measurement and Determinants of Inclusive Growth: A Case Study of Pakistan (1990-2012) ©The Pakistan Development Review 55:4 Part II pp. 455–466 2016

Sample: 2000 2018  
 Included observations: 18

| Cointegrating Form |             |            |             |        |
|--------------------|-------------|------------|-------------|--------|
| Variable           | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob.  |
| D(GLOBALISATION)   | 0.444637    | 0.099643   | 4.462306    | 0.0006 |
| D(FINANCIAL_DEV)   | 0.171324    | 0.090803   | 1.886772    | 0.0817 |
| D(INFLATION)       | -0.090129   | 0.147286   | -0.611934   | 0.5511 |
| CointEq(-1)        | -1.163549   | 0.239892   | -4.850299   | 0.0003 |

$$\text{Cointeq} = \text{INC} - (0.3821 * \text{GLOBALISATION} + 0.1472 * \text{FINANCIAL\_DEV} - 0.0775 * \text{INFLATION} + 22.6081)$$

ცხრილი 3.1. ARDL მოდელი კონტეგრაციის ცხრილი

როგორც ვხედავთ კონტეგრაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რის შემდგომაც უკვე შეგვიძლია დავაკვირდეთ ამხსნელი ცვლადების გრძელვადიან მნიშვნელობებს:

| Long Run Coefficients |             |            |             |        |
|-----------------------|-------------|------------|-------------|--------|
| Variable              | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob.  |
| GLOBALISATION         | 0.382139    | 0.083443   | 4.579665    | 0.0005 |
| FINANCIAL_DEV         | 0.147242    | 0.060097   | 2.450091    | 0.0292 |
| INFLATION             | -0.077461   | 0.126584   | -0.611930   | 0.5511 |
| C                     | 22.608091   | 5.666300   | 3.989921    | 0.0015 |

ცხრილი 3.2. ამხსნელი ცვლადების გრძელვადიანი მნიშვნელობები

შესაბამისად, აღნიშნული შედეგების მიხედვით, შეგვიძლია გავაკეთოთ ეკონომიკური ინტერპრეტაცია: როგორც მოსალოდნელი იყო, კოეფიციენტების მნიშვნელობები ლოგიკურია, გლობალიზაციასა და ფინანსურ განვითარებას აქვს დადებით გავლენა, ხოლო ინფლაციას უარყოფითი გავლენა აქვს ინკლუზიურობის ზრდაზე. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ეკონომიკის გახსნილობა საშუალებას იძლევა პროდუქტიულობა ამაღლდეს და სხვადასხვა სექტორები განვითარდეს, ხოლო ფინანსური განვითარება საშუალებას აძლევს შინამეურნეობებს, სესხების გამოყენებით, ინვესტიციები განახორციელონ, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და ზრდის ინკლუზიურობაზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრძელვადიან პერიოდში ფინანსური განვითარების და ეკონომიკის გახსნილობის მაჩვენებლების გაუმჯობესება - დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდის ინკლუზიურობაზე.

## დასკვნა

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ ეკონომიკური ზრდა, მისი თეორიები და საქართველოს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე ტენდენციები. გარდა ამისა, გამოვთვალეთ ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის ინდექსი და ემპირიული ანალიზის და ეკონომეტრიკული აპარატის გამოყენებით განვსაზღვრეთ მისი დეტერმინანტები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები:

